ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

საპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 8 აგვისტო 2001 №148 (1421) | ფასი 50 თეთრი


# ათმწვრთნელიან ბატეს დინამოს სახელი აშინებს

ხვალ თბილისის „დინამო“ ეროვნულ სტადიონზე, „ლოკომოტივი“ კი კუნძულ მალტის „ტა ქალიზე“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩებს გამართავენ. „დინამო“ ბელარუსის „ბატეს“ უმასპინძლებს, „ლოკომოტივს“ „ბირკირკარა“ დაუხვდება.

„ბატე“ ბორისოვიდან დღეს აბარგდება, ჩარტერული რეისით გამოფრინდება და დღესვე საღამოს „ეროვნულზე“ ივარჯიშებს. „ლოკომოტივმაც“ მალტისკენ ჩარტერით გასწია, გუშინ საღამოს სლიემაში დაბინავდა და დღეს, მატჩის დაწყების დროს, თერთმეტის ნახევარზე, „ტა ქალიზე“ ივარჯიშებს.

ჩვენ კი „ბატესა“ და „ლოკომოტივის“ მწვრთნელებს, იური პუნტუსს და კახა ცხადაძეს გუშინ, გაფრენა-გამოფრენამდე დავუკავშირდით და სახვალიო მატჩების წინ მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ:

— უეჭველია, ძალიან რთული მატჩი გველის. მართალია, თბილისის „დინამოს“ დღეს ევროპის საუკეთესო გუნდებამდე ბევრი უკლია, მაგრამ „ბატეს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის „დინამო“ ავტორიტეტული სახელია და კვლავაც ძველებურად ფასობს — გვითხრა იური პუნტუსმა — ფსიქოლოგიური მომენტია, თბილისის „დინამოს“ ეთამაშები, გუნდს, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ეს სატრაბახო აქვს. ერთიცაა, ჩვენ ბელარუსის ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩი წავაგეთ და ცოტა არ იყოს, თბილისს წამხდარი გუნებით მოვფრინავთ.

იხილეთ მეორე გვერდი

# წაუგებელმა წააგო!

## მარიონ ჯონსი ჟანა პინტუსევიჩს ჩამორჩა

## ეს სენსაცია მსოფლიოს რეკორდის ტოლფასია



REUTERS ედმონტონიდან

ოთხი წელია, 100 მეტრზე მარიონ ჯონსს მეტოქის ზურგი არ უნახავს. ედმონტონში ჟანა პინტუსევიჩმა დაანახა

მარიონ ჯონსი სპრინტის დედოფალი აღარ არის. კანადურ ედმონტონში მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე პლანეტის ყველაზე ფეხმარდმა ქალბატონმა ოთხწლიან ისტორიას წერტილი დაუსვა. 1997 წელს ჯონსი ლეგენდარულმა იამაიკელმა, მერლინ ოტიმ დაამარცხა, მას შემდეგ კი დედამიწის ყველაზე რჩეული სპრინტერები ამაოდ ცდილობდნენ ჯონსის თუნდაც ერთხელ გასწრებას. ნავსი გატეხა ამერიკაში მცხოვრებმა უკრაინის მოქალაქემ, ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკმა, რომელმაც აჯობა მარიონს ჯერ ნახევარფინალში და მერე ფინალშიც. ტრიუმფალური ეპოქის დასრულებას ჯონსი დიდად არ დაუღონებია, ედმონტონში უბრალოდ ერთი ცუდი დღე გაუთენდა, რომელმაც ჩაიარა, ნინ კი მრავალი რბოლაა, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატის 200 მეტრი და 4X100 მეტრიანი ესტაფეტა. ჯონსი მათ მოგებას აპირებს, ხოლო ჩემპიონატის მეორე სენსაცია კინაღამ ქალთა ჭოკით ხტომაში მოხდა, სადაც რუსი სვეტლანა ფეოფანოვა უძლეველი სტეისი დრაგილას დამხობასთან ნაბიჯზე იდგა, მაგრამ დრაგილამ მაინც მოიგო.

იხილეთ მეცხრე გვერდი

# ათმწვრთნელიან ბატეს დინამოს სახელი აშინებს

## ცხადაძემ ბირკირკარა ცხადში ვერ ნახა



იური პუნტუსი




კახა ცხადაძე

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— ახლანდელ „დინამოზე“ თუ გაქვთ საკმაო ინფორმაცია?**

— ბევრი არაფერი. ჩვენი გუნდის უფროსი ესწრებოდა „დინამო“ — „გორდას“ მატჩს, რომელიც ფრედ მორჩა და სწორედ ამ თამაშის ფირი გვაქვს. ისე კი, „ბატეს“ არ იყოს, „დინამოც“ საკმაოდ ახალგაზრდული გუნდი ყოფილა. როგორც თბილისიდან დაბრუნებულმა ჩვენმა კაცმა მითხრა, „დინამო“ გახსნილ, კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს. ის კი ისედაც ვიცოდი, რომ ქართველები ფიზიკურად მთლად კარგად მომზადებულნი ვერ იქნებოდნენ.

**— ვიცოდით, თქვით, საიდან?**

— როგორ გითხრათ... ყოველთვის ასე იყო და...

**— თბილისში უძლიერესი შემადგენლობით მოდიხართ?**

— დიახ. საბედნიეროდ, არავინ დაგვაკლდება. ჩვიდმეტივე ფეხბურთელი ჯანმრთელადაა.

**— კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი დარჩით?**

— სხვა გუნდი რომ შეგვხვედროდა, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკს რა აზრი აქვს. „დინამოა“ ჩვენი მეტოქე და უნდა გავიმარჯვოთ. ისიც მითხრეს, „დინამო“ ლამაზ ფეხბურთს თამაშობს და მეტოქესაც აძლევს ამის საშუალებასო. ვნახოთ, „ბატეც“ ასეთი გუნდია და ისეთი მატჩი უნდა გამოვიდეს, ქომაგმა არ მოიწყინოს.

**— თქვენ მთავარი მწვრთნელი ბრძანდებით, იური პუდიშევი — უფროსი. თქვენს შორის საბოლოო სიტყვა რომელს ეკუთვნის?**

— ჩვენს გარდა „ბატეს“ კიდევ რამდენიმე მწვრთნელი ჰყავს, დაახლოებით ათნი ვიქნებით. ისე კი, გადაწყვეტილებას მე ვიღებ.

**— შანსები?**

— თავს შევიკავებ. ცხადი კია, გამარჯვებული ბორისოვში გაირკვევა.

***კახა ცხადაძე***

— მალტაში 18 ფეხბურთელით მივემგზავრებით. ორი თავდამსხმელი გვაკლია — დავით ჯანაშიას ვარჯიში ჯერაც არ განუახლებია, ალეკო კაიდარაშვილმა კი ორი დღეა ძუნძული დაიწყო და ფორმაში არ არის.

**— მეტოქეზე ახალი თუ იცით რამე?**

— ის გავიგე, რომ 31 ივლისსა და 4 აგვისტოს „ბირკირკარას“ „ლა ვალეტასთან“ და „სლიემასთან“ ამხანაგური მატჩები გაუმართავს და ორჯერვე 1:2 დამარცხებულა. ჩვენ არც ერთი მატჩი არ გვინახავს და საერთოდ, „ბირკირკარას“ თამაშზე წარმოდგენა არ გვაქვს. თანაც პრობლემა ისაა, რომ მალტაში ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და იქ ჩასულთ, ალბათ, რომელიმე შარშანდელი მატჩის ფირს დაგვახვედრებენ. ყოველ შემთხვევაში, „ბირკირკარას“ ხელმძღვანელობას ერთი ფირი ვთხოვეთ და არა მგონია, დაგვიკავონ.

**— მალტელების ძლევა მაინც არ უნდა გაგიჭირდეთ.**

— ჩვენ მაინც მთელი ძალით ვითამაშებთ. არავინაა ხელწამოსაკრავი. „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ მოგვთხოვა „ბირკირკარას“ დამარცხება და ვნახოთ, ალბათ, მოვუგებთ და შემდეგ წრეში გავალთ.

**ძოგა ინასარიძე**



REUTERS

შახტარი — დორტმუნდი. მარიუშ ლევანდოვსკი და მარსიო ამოროზო (№22)

# ჩემპიონთა ლიგა

**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები. გუშინ**

შახტარი (უკრაინა) 0:2 დორტმუნდი (გერმანია)

0:1 რიკენი (35), 0:2 ოლისე (73)

**შახტარი:** ვირტი, სტაროსტიაკი (ლევანდოვსკი 80), ტიმოშჩუკი, პოპოვი, ალიუტა (ატელკინი 77), ბახარევი, ზუბოვი, ვორობეი, აგაოვა, ოკორონკო, ფლორეა

**დორტმუნდი:** ლემანი, ევანილსონი, იურგენ კოლერი, ჰეინრიხი, იან კოლერი, როსიცკი (ამოროზო 64), რეინა (სტევიჩი 75), ოლისე, დედე, რიკენი (ბობიჩი 82), მეცელდერი

მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)

32000 მაყურებელი

ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) 3:1 ტიროლი (ავსტრია)

1:0 ლეკხეტო (2), 1:1 კირხლერი (19), 2:1 იზმაილოვი (37), 3:1 იგნაშევიჩი (79)

**ლოკომოტივი:** ლიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, ჩუგაინოვი, სენიკოვი, ობრადოვიჩი, ლეკხეტო, მამინოვი, იზმაილოვი, ლოსკოვი (იგნაშევიჩი 75), ობიორა (ბუზნიკინი 73), პიმენოვი (ჯანაშია 61)

**ტიროლი:** ციგლერი, ვაზინგერი, კოლერი, ცივისიგი, იბერცბერგერი, კირხლერი, ბრზენსკი, პანისი (პრუდლო 32), ხერტნაგელი, ქზეკი (მარერი 74), გილევიჩი

გაფრთხილება: გილევიჩი, ხერტნაგელი, ქზეკი, ლოსკოვი, სენიკოვი, მამინოვი, ვაზინგერი

მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

16500 მაყურებელი

# ინტერტოტოს თასი 2001 გუშინ

**ფინალური ეტაპი**

ტრუა (საფრანგეთი) 0:0 ნიუკასლი (ინგლისი)

პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 0:0 ბრეშა (იტალია)

ბაზელი (შვეიცარია) 1:1 ასტონ ვილა (ინგლისი)

0:1 მერსონი (58), 1:1 ხიმენესი (74)

*საპასუხო მატჩები — 21 აგვისტო*

# შოტლანდია

**ლიგის თასის I ეტაპი**

ბერვიკი 3:0 ილვინი
ბრეჩინი 4:1 სტირლინგი
ქოუდენბითი 0:0 როსი
ისტ ფაიფი 2:3 რეითი
ისტ სტირლინგი 0:1 ალოა
ფალკირკი 4:1 არბროა
ინვერნესი 2:2 ფორფარი
მორტონი 1:3 კლაიდი
პიტერჰედი 2:0 ჰამილტონი
სენტ მირენი 1:3 ეირი
სტენჰაუზმური 1:4 სტრანრარი
ეირდრი 2:0 ძუინი
ალბიონი 0:0 მონროუსი
პარტიკი 5:0 ქუინზ პარკი

24 საათის ინფორმაცია განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1 წთ / 50 თეთრი)

# ვწერთ ოცდახუთს, ვგულისხმობთ ოცდაოთხს

## დინამოს ცოდვა გორდაზეც ჰკიდია

**ერთი დღეც** და ხელისგულივით გადაგვეშლება თუ რას წარმოადგენს გივი ნოდიას თბილისის „დინამო“. ბორისოვის „ბატე“ დიდი ხვითო არ უნდა იყოს, მაგრამ ქართული კლუბებისთვის ნაღდად საკბილო გუნდია. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი კარგად, სასერივით გამოსცრის „დინამოს“.

მანამდე კი უეფაში წარდგენილ დინამოელთა სიას შემოგთავაზებთ. მოგეხსენებათ, ასეთ განაცხადში მოთამაშეებს მუდმივი ნომრები აქვთ, ანუ ყველა მატჩზე ერთი და იგივე. უეფას წესებით, კლუბს განაცხადში მაქსიმუმ 25 ფეხბურთელის შეყვანის უფლება აქვს. „დინამომ“ ეს ლიმიტი სრულად ამოწურა და თუ ამ სეზონში ახალ ფეხბურთელებს დაიმატებს, მათ უეფას განაცხადში ველარ შეიყვანს. მაშ ასე, გივი ნოდიას 25 დინამოელი:

***მეკარეები:*** *1. სოსო გრიშიკაშვილი, 12. ზურაბ ბათიაშვილი, 22. ზურაბ მამალაძე*

***მცველები:*** *2. რამაზ სვანაძე, 3. ილია კანდელაკი, 4. ირაკლი ვაშაკიძე, 5. გიორგი შაშიაშვილი, 23. ალექსანდრე ჩივაძე, 24. ალექსანდრე ამისულაშვილი*

***ნახევარმცველები:*** *6. არჩილ სახვაძე, 7. მიხეილ მაზიაშვილი, 8. ლადო ბურდული, 9. ვიტალი დარასელია, 13. თორნიკე აფციაური, 14. ვახტანგ იაგორაშვილი, 15. ჯონი შალამბერიძე, 16. გიორგი მანწკავა, 17. გიორგი გაბიდაური, 18. ლევან შავგულიძე*

***თავდამსხმელები:*** *10. ზაზა ზირაქიშვილი, 11. მიხეილ ბობოხიძე, 19. კოკა მიკუჩაძე, 20. გიორგი მიქაძე, 21. ნიკა თუთარაშვილი, 25. ვლადიმერ ქუთათელაძე*

დინამოელთა პრობლემებზეც მოგახსენებთ. კვლავ ტრავმირებულია და „ბატეს“ წინააღმდეგ ვერ გამოვა ჯონი შალამბერიძე, ხოლო ვლადიმერ ქუთათელაძეს ჯერ უფლება არ აქვს, „დინამოში“ ითამაშოს. ეს 23 წლის ფეხბურთელი გერმანულ შეკრებაზეც ახლდა გუნდს, მაგრამ ფორმალურად კვლავ ასტანას „ჟენესს“ ეკუთვნის. ყაზახეთის ამ კლუბთან მოლაპარაკებები გრძელდება და როგორც „დინამოში“ გვითხრეს, საქმე მალე მოგვარდება.

„დინამოს“ ბელარუსებთან ვახტანგ იაგორაშვილიც მოაკლდება. ალალი იყო რუსთავის „გორდაზე“ „დინამოსთან“ მოპოვებული ქულა, მაგრამ იაგორაშვილის ცოდვაც მათზე იყოს. ვასოს მარჯვენა ფეხში, კოჭის სახსარში ისე უთავაზეს, რომ „დინამო“ — „გორდას“ მატჩი კოჭლობით მოსიარულემ ჩაამთავრა. გუშინ კი იაგორაშვილს ტრავმატოლოგებმა უთხრეს, ხრტილი ისე გაქვს დაზიანებული, რომ ათი დღე თაბაშირში უნდა ჩაგისვათ და ყავარჯნებიც დაგჭირდებაო.

**დავით თავართქილაძე**

# ვიტ ჯორჯია: ორი წავიდა, ორი გზაზეა

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია“ დროებით ორ ფეხბურთელს შეელია. მცველი ედიკ საჯაია იანვრამდე მოსკოვის „ტორპედოში“ ითამაშებს, ნახევარმცველი გიორგი ყიფიანი კი ისრაელის უმაღლესს ლიგაში წლეულს აღზევებულ კირიატ გატის „მაკაბიში“ მაისამდე დარჩება.

უცხოეთში გამგზავრებამდე ორივე ფეხბურთელმა „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთი წლის გააგრძელა კონტრაქტი, დღესდღეობით ისინი სწორედ ამ კლუბის წევრებად ითვლებიან და განათხოვრების ვადის გასრულებისთანავე ვეტერინარებს უნდა დაუბრუნდნენ. თუმც კი, ვიტელთა პრეზიდენტის გურამ რუხაძის თქმით, გამორიცხული არ არის, „ვიტ ჯორჯიამ“ საჯაია და ყიფიანი „ტორპედოსა“ და „მაკაბის“ საბოლოოდაც დაუთმოს. ეს პირობებზეა დამოკიდებული.

— საჯაია საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელია და ვფიქრობ, „ტორპედოზე“ ძლიერ კლუბში თამაშს იმსახურებს. ჯერჯერობით სწორედ ამიტომ შევიკავეთ თავი მისი გაყიდვისგან. იმედი მაქვს, ამ ექვს თვეში ის კიდევ უფრო მოუმატებს, მოსკოვში უკეთ მოემზადება და თავისი თამაშით სოლიდურ კლუბსაც დააინტერესებს — გვითხრა გურამ რუხაძემ.

პრეზიდენტის განცხადებით, მომავალ კვირას „ვიტ ჯორჯიას“ კიდევ ორი ფეხბურთელი — საყრდენი ნახევარმცველი დავით დიღმელაშვილი და ფორვარდი ლევან მელქაძე დატოვებს. ისინი სერია B-ს „სიენამ“ სამი კვირით გასასინჯად მიიწვია. ახლა „ვიტ ჯორჯია“ ამ ფეხბურთელთა საპასპორტო საქმეებითაა დაკავებული და შესაძლოა ვიტელებს ცოტა ხანში „სიენას“ ხელმძღვანელობასთან საკონტრაქტო პირობების შესათანხმებლადაც დასჭირდეთ მოლაპარაკება. ყოველ შემთხვევაში, იტალიელებს დიღმელაშვილისა და მელქაძის თამაში ბევრჯერ უნახავთ, მათი მომზადების დონით კმაყოფილნი კი დარჩენილან, მაგრამ სურთ, რომ დარწმუნდნენ, გამოადგებათ თუ არა ჩვენებურები. ამიტომაც მიიწვიეს ისინი გასასინჯად.

გურამ რუხაძის თქმით, „ვიტ ჯორჯიასთვის“ დიღმელაშვილი და მელქაძე დიდი დანაკლისი კი იქნება, მაგრამ ვიტელებს, ალბათ, მათი ღირსეული შემცვლელებიც გამოუჩნდებიან.

ისე კი, თბილისურ კლუბში დღესდღეობით საკმაოდ ნორმალური ვითარებაა, ყველაფერი თავის ადგილზეა და გუნდის მიზანი კვლავაც ერთ-ერთი ევროტურნირის საგზურის მოპოვებაა.

**ძოგა ინასარიძე**



გიორგი ყიფიანი (მარცხნივ) მაისამდე ისრაელში ითამაშებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი
**2 ტური**

# ფეხბურთი დარიგთა თამაშია

## ხელმოკლე გორდამ ფეხი გაშალა

**აგერ,** ორი ტური მიილია და ჯერ-ჯერობით ჩვეული ერთფეროვნებით ვითარდება მოვლენები ქართულ სტადიონებზე. რა თქმა უნდა, მეცამეტე ჩემპიონატისგან, ახალს და განსაცვიფრებელს ბევრს არც ველოდით, მაგრამ იმის იმედი მაინც ხომ უნდა გვქონდეს, რომ რაიმე უკეთესობისკენ შეიცვლება.

ძნელია ორი ტურით ჩემპიონატის ავ-კარგზე მსჯელობა, მაგრამ არა მგონია, სწავლის ძირივით იყოს: რაც არის, ეგ არის, გატკბილებას ვინ ჩივის, უკან არ წავიდეს საქმე...

სამი დუბლი გააზერხეს ფეხბურთელებმა პირველ ტურში, მეორეში ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა. 6 გოლით ნაკლები გავიდა მეორე ტურში პირველთან შედარებით. ნაკლები იყო კარისკენ თუ კარში დარტყმების, ანუ სახიფათო მომენტების რაოდენობაც. ბოლოს და ბოლოს, მეორე ტურის მატჩებს მაყურებელიც ნაკლები ჰყავდა. თუ ათიოდე დღის წინ ჩვენი საშინაო ბურთაობა თორმეტი ათასამდე ქომაგმა დააფასა, გასულ შაბათ-კვირას სტადიონებზე სამი ათასით ნაკლები გულშემატკივარი მივიდა. 3 000-3 000 კაცი თუ ვკარგეთ ტურიდან ტურამდე, ბოლოს უპატრძლო ქორწილს დაემსგავსება ჩვენი ჩემპიონატი.

ცოტა რამ იმაზეც ვთქვათ, რაც კარგია. კარგია ის, რომ ხანდახან თავდადებული, მედგარი ბრძოლის მოწმე ვხდებით და ტურიდან ტურამდე აქა-იქ ერთი-ორი მოულოდნელი შედეგი გამოხტება ხოლმე, ანუ სფფ-ის საყვარელი სიტყვა რომ ვახსენოთ, ინტრიგა არის. ისე, ინტრიგა ქართულ ტელეარხებზე მოჭარბებულ სერიალებსაც არ აკლია, მაგრამ ხიბლის და ხარისხის რა მოგახსენოთ. ასეა ჩვენი ფეხბურთიც — მიგორავს უხარისხო ინტრიგის ამარა. კარგის თქმა მინდოდა და... ჯობს, განვლილ ტურში მომხდარის მიმოხილვას შევუდგეთ იმის მცირე იმედით, რომ ტურიდან ტურამდე კარგის თქმის უფრო მეტი შესაძლებლობა მოგვეცემა.

პარადოქსები — აი, რა არ აკლია ქართულ ფეხბურთს... მეოცე საუკუნის სამოციან წლებში გამოშვებული „ლაზით“ იარა რუსთაველმა „გორდამ“ „დინამოსთან“ შესახვედრად. „გორდას“ ძველისძველი ავტობუსი სვენებ-სვენებით მიადგა „ეროვნულს“ და ათგზის ჩემპიონის კომფორტულ, ორსართულიან „მერსედესს“ ამოუდგა გვერდით. ამის შემხედვარე „დინამოს“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ირონიულად შენიშნა, ვაი, ჩვენი ბრალი, ამათ თუ ვერ მოვუგეთო. ვერ მოიგო „დინამომ“. ღირსეულად, თავდადებით იბრძოლა „გორდამ“ და დაუგეგმავ ქულას გამოჰკრა ხელი. აკი განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე უზომოდ გახარებულმა „გორდას“ მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა, ეს გათვალისწინებული არც გვქონდაო, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ შემთხვევით არ მოუპოვებიათ სტუმრებს საპატიო ქულა. სტაბილურობიდან უკეთესობისკენ — წინასაარჩევნო, ვერშემდგარი დევიზი ზედგამოჭრილია „გორდასთვის“. მართალია, გუნდს საკუთარი ავტობუსი არ ჰყავს და კიდევ ბევრ სიკეთესაა მოკლებული, მაგრამ რუსთაული კლუბის პრეზიდენტი თემურ ბუილიშვილი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება საქმეს — სტადიონს კოსმეტიკური რემონტი გაუკეთა, შეინარჩუნა შარშანდელი ბირთვი, რომლის 90 პროცენტი რუსთაულია და რაც მთავარია, საახალსეზონოდ ვარლამ კილასონია გადაიბირა, ფეხბურთელი, რომელიც დიდ სტიმულს აძლევს თანაგუნდელებს. კილასონია რომ ლიდერია, ამაში განვლილმა ტურმაც დაგვარწმუნა. ვარლამმა, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ნახევარდაცვაში ითამაშა და ნაყოფიერადაც. სწორედ მოედნის ცენტრში მოპოვებულმა უპირატესობამ გაანელა „დინამოს“ იერიშები. ათგზის ჩემპიონი ბევრს კი ეცადა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ გატეხა სტუმართა დაცვა, თუმცა ბობოხიძის გოლი მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

4 აგვისტო, ალბათ, დიდხანს ემახსოვრება კახა ცხადაძეს. „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა მწვრთნელმა პირველი გამარჯვება მოიპოვა ეროვნულ ჩემპიონატში.

საევროტურნირო სამზადისში ჩართულმა „ლოკომოტივმა“ ჩემპიონატი მარცხით დაიწყო — ქუთაისში „ტორპედოსთან“ წააგო. ამდენად, „ბირკირკარასთან“ მატჩის წინ „მეტალურგის“ ძლევა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელი იყო როგორც ცხადაძისთვის, ასევე მისი გუნდისთვის, რადგან წაგებულის ნირით ევრომატჩში თამაში ვერაფერი სახარბიელოა. „ლოკომოტივმა“ უიღბლოდ კი დაიწყო, მე-4 წუთზე გოგიჩაიშვილმა პენალტი გააცუდა, მაგრამ მერე რკინიგზელებმა საქმეს ხელი მოჰკიდეს და მშრალი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — ონიანის სადებიუტო გოლს მეორე ტაიმში სირბილაძემ ორიც შემატა. თბილისელებს იმ დღეს ნამდვილად საზეიმოდ ჰქონდათ საქმე — მატჩამდე ხომ „ლოკომოტივი“ ვიცე-ჩემპიონის კუთვნილი მედლებით დააჯილდოვეს სფფ-ის ჩინოსნებმა.

ვასილ ჭეიშვილის გუნდს კი წინ ბევრი სამუშაო აქვს. იმედია, „მეტალურგი“ თითოეულ სათამაშო რგოლში მოჭარბებულ პრობლემებს ნელნელა გამოასწორებს, ოღონდ გზადაგზა ქულებიც თუ არ აკრიფა, მომდევნო სეზონში უმაღლესი ლიგა მოგონებად დაურჩება.

ძველისძველ საფეხბურთო შეგონებას გვერდი აუარა „კოლხეთის“ თავკაცმა სოსო ფილიამ და „სამგურალის“ გამნადგურებელი შემადგენლობა შეცვალა ჩემპიონ „ტორპედოსთან“ მატჩში. ფილია თავს იმით თუ გაიმართლებს, რომ პრობლემები აქვს შუა ხაზში, ამდენად, ძიებაშია, თუმც ჩემპიონთან ექსპერიმენტი რომ უადგილო იყო, ეს მატჩმაც ცხადყო.

მასპინძლებმა უპრობლემოდ იძალეს ტურის ცენტრალურ შეხვედრაში. ცხადია, რომ ახალ გუნდს მოერგო ზვიად ქუთათელაძე. ექსსამგურალელმა სწრაფმა ფორვარდმა ქუთათურებს „კოპენჰაგენთან“ მშრალი ანგარიშით მარცხი ხომ აარიდა და აგერ „კოლხეთთანაც“ გამოიჩინა თავი. ზღვისპირელებს პირველი გოლი აშვეთიამ გაუტანა პენალტით. მატჩის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე კი იონანიძემ შეხვედრის გადარჩენის იმედი საბოლოოდ მოუსპო სტუმრებს.

ასეთი ცუდი სტარტი ჩემპიონატში არასდროს ჰქონია თბილისურ „ვიტ ჯორჯიას“. ჯანი კარნევალის გუნდმა პირველ ტურში „გორდასთან“ მარცხს „ბათუმთან“ საშინაო შეხვედრაში უგოლო ფრე მოაყოლა. ფაქტია, სეზონის წინ ჩემპიონობის ფავორიტად მიჩნეულ ვეტერინარებს ამბიციის დასაკმაყოფილებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ. უცნაური გადაწყვეტილება მიიღო ვიტელთა იტალიელმა მწვრთნელმა, როცა ზღვისპირელებს ორი მცველით და სამი თავდამსხმელით დაუპირისპირდა. „არმაზზე“ მასპინძლებს მოგება სწყუროდათ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს გაუმართლებელი რისკი იყო და მოულოდნელი არც არაფერი მოხდებოდა, ამგვარ ვითარებაში „ბათუმი“ გამარჯვებული რომ დარჩენილიყო. ტუღუშს, ქაცარავას და მაჭუტაძეს საგოლედ კარგი მომენტები ჰქონდათ და რომელიმე რომ გამოეყენებინათ, მატჩი სხვა სცენარით გაგრძელდებოდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ კონცენტრირება მოახერხა და რამდენჯერმე ჭანტურიას კარიც გადაურჩა აშკარა გოლს. ასე თუ ისე, ეს ფრე ბათუმელებს უფრო ჩაეთვლებათ აქტივში.

ჯერაც უგოლოდაა „სიონი“. ბოლნისელებმა სუსტად დაიწყეს ჩემპიონატი და ზედიზედ მეორე საგარეო მარცხიც იწვნიეს. „სინათლეზე“ „მერანმა“ შანსი არ დაუტოვა ქვემოქართლელებს და სამი უპასუხო გოლი გაუტანა. ყოფილი თანაგუნდელები არ დაინდო სულიკო დავითაშვილმა. „აბრეზა“ იოსებ დევიძესთან ერთად საუკეთესო იყო მოედანზე და ლომის წილი დაიდო თავისიანთა გამარჯვებაში.

გავიდა მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლეგიონური გოლიც. 90-ე წუთზე მარცხს შეგუებულ „სიონს“ ანდრეი მუხინმა გაუტანა საჯარიმოს გარედან.

ბოლოს კი დებიუტანტთა მატჩზეც ვთქვათ. როგორც ჩანს, „სამგურალმა“ იოლად დააღწია თავი კოლხურ კოშმარს და პირველი გამარჯვებაც იზეიმა. წყალტუბოელებზე ალალიც იყო სამი ქულა, ისინი მთელი შეხვედრის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ. „გურიას“ ვერც ანგარიშის გათანაბრებამ უშველა, შოთა დარსაძემ და მალხაზ ჯინჭარაძემ მოსახდენი მოახდინეს და მატჩის ბოლოს ზვიად ენდელაძეს პენალტი რომც გაეტანა, „გურიას“ მაინც ვერ იხსნიდა.

**ბაადა ძმანტალიანი**



მერანელმა სულიკო დავითაშვილმა (№7) ყოფილი თანაგუნდელი თემურ ვოლკოვი გვარიანად გააწვალა



ვიტ ჯორჯია — ბათუმი. ვიტელებმა (მუქ ფორმებში) ისე ვერ დაიწყეს...

### სიმბოლური ნაკრები

- მიხეილ აშვეთია — ტორპედო
- ირაკლი სირბილაძე — ლოკომოტივი
- შოთა დარსაძე — სამგურალი
- ალეკო ამისულაშვილი — დინამო
- ვარლამ კილასონია — გორდა
- რონ ონიანი — ლოკომოტივი
- ამირან კიდილაშვილი — გორდა
- გივი დიდავა — ტორპედო
- სანდრო ბურნაძე — გორდა
- იოსებ დევიძე — მერანი
- თედო ბოდოკია — სამგურალი

გუნდი: გორდა

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 მერანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 3 ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 4 დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 გორდა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 6 კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 7 ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 8 სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:7 | -4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 |
| 9 ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 10 გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 11 მეტალურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 12 სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყვიის ტყვიაში ჩამჯენი



მიხეილ ყაველაშვილი

**სასწაულებს** სჩადისო, ამ კაცზეა ნათქვამი. ალბათ ძნელი მისახვედრი არ არის, ვისზეა ლაპარაკი. ცხადია, მიხეილ ყაველაშვილზე. ციურიხელმა ქართველმა „არაუსთან" გასვლით მატჩშიც გაიტანა და ექვსი თამაშიდან ექვსი გოლი მოუგროვდა...

მართლაც საკვირველი და სასიხარულოა: მიშა ყაველაშვილი, ფეხბურთელი, რომელიც საგოლე მომენტების გამოუყენებლობით არის ცნობილი, ასე ვთქვათ, ტყვიას ტყვიაში აჯენს და თვითონ ხომ ბომბარდირობას უმიზნებს და მისი „ციურიხიც" მედგრად დგას ცხრილის თავში.

ციურიხელებმა არაუში გაიმარჯვეს კიდეც და გაკვეთილიც გამოუვიდათ. ლამის მთელი თამაში სტუმრებისა გახლდათ. ნახევარი საათი გასულიყო, როცა ყაველაშვილმა პირველი გაიტანა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, მეორე ქართველიც გამოირჩა, გოჩა ჯამარაულმა მატჩის მეორე და სეზონში თავისი პირველი გოლი შეაგდო. წუთიც არ გასულა, რომ შასომ მესამეც გაიტანა და თითქმის ყველაფერი გაირკვა.

მერე კი, მერე კინაღამ ისეთი რამ მოხდა, ხანდახან თბილისის „დინამოს" რომ ემართებოდა ხოლმე. ბოლო სამ წუთში არაუელმა ოკპალამ ორი საპასუხო გაიტანა და მასპინძლებს დრო რომ ჰქონოდათ, ეგებ „ციურიხი" ერთი ქულის ამარა გაბრუნებულიყო შინ, მაგრამ ხანდახან ეს „კინაღამ" მართლაც კარგია, ჯამარაულ-ყაველაშვილის გუნდმა 3:2 გაიმარჯვა და მეორე ადგილზე მდგომ „იანგ ბოისს" ორი ქულით უსწრებს.

მეზობელ გერმანიაში კი ჩვენებურებმა ამჯერად თავი ვერაფრით გამოიჩინეს. კიოლნელ არჩილ არველაძეს ამჯერადაც ტრავმის გამო არ უთამაშია, ბუნდესლიგის პირველი სათამაშო დღის ერთ-ერთი გმირი „ფრაიბურგი" კი ნიურნბერგში 0:2 დამარცხდა.

ხუთი ქართველიდან კვლავაც სამმა ითამაშა, თუმც პირველი ტურისგან განსხვავებით, როცა სასტარტოში მხოლოდ კობიაშვილი იყო, ამჯერად თავიდანვე ცქიტიშვილმაც დაიწყო, ხოლო იაშვილი მინდორზე პირველი ტაიმის მიწურულს შეიყვანეს. აი, ზამთარაძისა და კიკნაძის ბუნდესლიგური დებიუტი კი კვლავაც ახლო მომავლის საქმეა.

„ფრაიბურგმა" კარგად ვერ ითამაშა და მისმა ფეხბურთელებმა გერმანული გამოცემებისგან ერთობ დაბალი შეფასებები მიიღეს. ყველაზე გავლენიანმა „კიკერმაც" ცქიტიშვილს — 5, იაშვილს — 4,5 ხოლო კობიაშვილს — 4 დაუწერა. მოგეხსენებათ, „კიკერი" ფეხბურთელებს ხუთბალიანი სისტემით აფასებს. უარესი ქულა ხუთიანია, საუკეთესო ერთიანი. დანარჩენს თავადაც ხედავთ.

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ნიურნბერგი 0:2 | 53 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 6 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ნიურნბერგი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 1 | 6 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ნიურნბერგი 0:2 | 66 | შეცვალეს | 2 | 0 | 6 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ნიურნბერგი 0:2 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ნიურნბერგი 0:2 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | მიუნხენი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 4 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ალენი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 12 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ჰიბერნიანი 2:1 | 61 | შეცვალეს | 2 | 0 | 4 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | ჰიბერნიანი 2:1 | 90 | | 2 | 0 | 4 |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | არაუ 3:2 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 5 | 1 | 1 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | არაუ 3:2 | 81 | 1 გოლი, შეცვალეს | 6 | 6 | 1 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | შ | ციურიხი 2:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ბრეგენცი 5:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 3 |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | კრილია 1:1 | 0 | სათადარიგო | 17 | 2 | 3 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | კრილია 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | როსტსელმაში | შ | როტორი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 3 | 0 | 11 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | როტორი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | ს | ზილ 2:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 1 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | ზილ 2:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | სოკოლი | ს | ფაკელი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 7 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | ს | ბალტიკა 0:2 | 0 | | 11 | 0 | 10 |
| | ბალტიკა | ს | შინიკი 0:4 | 90 | | 1 | 0 | 15 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | ბალტიკა 0:2 | 0 | | 14 | 0 | 10 |
| | ბალტიკა | ს | შინიკი 0:4 | 90 | | 1 | 0 | 15 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | ბალტიკა 0:2 | 45 | შეცვალეს | 13 | 1 | 10 |
| | კრისტალი | შ | ყუბანი 2:0 | 90 | | 14 | 1 | 8 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | კრისტალი 2:0 | 90 | | 12 | 0 | 15 |
| | ბალტიკა | ს | შინიკი 0:4 | 90 | | 13 | 0 | 15 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | ს | ურალანი 1:1 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 5 |
| | სპარტაკი | ს | გაზ-გაზი 0:3 | 0 | | 9 | 0 | 6 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | | ტური გამოტოვა | | | 2 | 1 | 11 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | | ტური გამოტოვა | | | 2 | 1 | 11 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | | ტური გამოტოვა | | | 1 | 0 | 11 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | შ | კრივბასი 3:0 | 90 | | 5 | 0 | 12 |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ლეგია 0:4 | 90 | | 3 | 0 | 5 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 6 | 1 | 3 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 8 | 1 | 3 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 9 | 3 | 3 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 12 | 3 | 3 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 3 | 0 | 3 |
| თამაზ პერტია | რიგა | ს | სტალკერსი 1:3 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 3 | 0 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

თუმცა, ფრაიბურგელთა ეს ჩავარდნა შემთხვევითობად მივიჩნიოთ, რადგან ეს ბიჭები სტაბილურობით გამოირჩევიან და უფრო ხშირად ქების ღირსნი არიან.

რუსეთის უმაღლესი ლიგის წინა ტურში არცერთ ქართველს არ უთამაშია. ასეთი რამ ბოლო წლებში ძალიან იშვიათად მომხდარა. ყველაზე საინტერესო ზაზა ჯანაშიას ამბავია, რომელიც უკვე რამდენიმე ტურია „ლოკომოტივის" სათადარიგოთა სკამზე ზის. ორშაბათს რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა დაწერეს, ჯანაშიას გადაბირება „კრილია სოვეტოვს" სურს, მაგრამ რკინიგზელები უარს ამბობენ — ქართველი ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის გვჭირდებაო. სინამდვილეში რა ხდება, ალბათ სულ მალე გაირკვევა. ეს ინფორმაცია კი ეგებ კლუბებს შორის ვაჭრობაზე მიგვანიშნებდეს.

კიდევ ერთი სიახლე რუსეთში. ოღონდ უფრო დაბალი, პირველი ლიგიდან: ძმები გიზო და ზვიად ჯელაძეები ერთ გუნდში, „ბალტიკაში" ითამაშებენ. მათთან იქნება თენგიზ სიჭინავაც.

მოგეხსენებათ, აგვისტომდე ამ კლუბში მხოლოდ უმცროსი ჯელაძე, გიზო თამაშობდა, 31 ივლისიდან კი „ბალტიკას" განაცხადში ორი ყოფილი კრისტალელი ქართველიც შეიყვანეს და „შინიკთან" ბოლო ტურში სამივე პირველიდან ბოლო წუთამდე ათამაშეს. თუმცა დებიუტი სახარბიელო ვერ გამოდგა, 0:4 წააგეს.

უკრაინაში ჩვენებურთა „ტავრიამ" კვლავაც გამოტოვა ტური. აი, ლევან მიქაძის ცსკა-მ კი, რომელსაც ახალი ჩემპიონატის ოთხივე საწყისი მატჩი წაგებული ჰქონდა, ჯავრი ერთბაშად „კრივბასზე" იყარა, 3:0 მოუგო და ბოლო ადგილსაც მოშორდა. არადა, როგორი მწვრთნელები ჰყავთ — კიევის „დინამოს" ახლო წარსულის ვარსკვლავები, ვლადიმირ ბესონოვი და ოლეგ კუზნეცოვი. ამათ თავის დროზე უამრავი ურთულესი ბრძოლა მოუგიათ და რაღა მწვრთნელობისას გაუწყრებათ ღმერთი.

**სოლომონ გულისაშვილი**



# შეურეველიც წავიდა

მალე 90-ის გახდებოდა. ტანმორჩილი იყო, მაგრამ საოცრად სხარტი და მოუღლელი. ასეთივე დარჩა სიბერეშიც. ამ რამდენიმე წლის წინ ხშირად ნახავდით ეროვნული სტადიონის ვეტერანთა კლუბში. ძველ ნაცნობებთან საუბარი უყვარდა. ბევრ საინტერესოს იხსენებდნენ ხოლმე.

მართლაც რამდენი ამბის მომსწრე იყო გრიგოლ გაგუა. თბილისის „დინამოს" იმ თაობის წარმომადგენელი გახლდათ, მძლავრად რომ შეიჭრა საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში და, როგორც მაშინ წერდნენ და ამბობდნენ, „მათი სახელების გაგონება შიშის ზარს ჰგვრიდა მოწინააღმდეგეს".

1936 წელს დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც და „დინამოს" ნაღდი ისტორიაც. ჩვენები „ბ" ჯგუფში გაამწესეს, იქ კი ექვსიდან ხუთი მატჩი მოიგეს და „ა" ჯგუფში, ანუ უმაღლეს ლიგაში აღზევდნენ, საიდანაც მერე აღარასოდეს გავარდნილან.

იმავე წლის შემოდგომაზე უმაღლესშიც მესამე ადგილი დაიკავეს და მთელი ქვეყანა აალაპარაკეს ქართული ფეხბურთის ტექნიკურობაზე, სილაღესა და სიძლიერეზე. ეს იყო ჩვენი ფეხბურთის პირველი დიდი აღიარება და იმ გუნდში ერთი გამორჩეული გრიშა გაგუაც გახლდათ.

ამბობენ, მსაჯთა მიკერძოება რომ არა, ოცდაათიანელები აუცილებლად გახდებოდნენ ჩემპიონებიო. ვინ იცის, რა იქნებოდა. ჩვენთვის კი ისინი ლეგენდები არიან. ლეგენდაა გრიშა გაგუაც, უკვე მარადისობაში გარდასული.

1950 წლამდე ითამაშა „დინამოში", უმაღლეს ლიგაში თერთმეტი სეზონი იღვაწა. ამას ომის დროს გაცდენილი ოთხი წელიწადიც რომ დავუმატოთ, შთამბეჭდავი ციფრი გამოდის.

მერე „ნორჩი დინამოელი" დააარსა და წლების მანძილზე არა ერთი ცნობილი ფეხბურთელის აღზრდაში დაიდო წილი.

ბოლო წლებში ქობულეთში ცხოვრობდა თავის ქალიშვილთან და ამ შაბათსაც იქვე დაკრძალავენ.

ოცდაათიანელთა უდიდეს თაობას ერთ-ერთი ბოლოთაგანი კიდევ გამოაკლდა...



თემურ ქეცბაია და ლივერპულელი პატრიკ ბერგერი

# ქინქლაძე კარგავს და რჩება, ქეცბაია აგებს და რჩება

„დერბი ქაუნთის“ ქართველი ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე, აგერ უკვე მეორე დღეა, სათადარიგო გუნდთან ერთად ვარჯიშობს. მიზეზი ჩვენებურის ტრავმა ან ზედმეტი წონა როდია — უბრალოდ, გიომ ესპანურ ლა მანგაში პასპორტი დაკარგა და თანაგუნდელებს ბალტიისპირულ ტურნეში ვერ გაჰყვა.

„საქართველოდან ახალი პასპორტი უცბად კი გამოგვიგზავნეს, მაგრამ ქინქლაძე ფინეთისა და ესტონეთის ვიზების მიღებას ველარ ასწრებდა. ჯერ ვიფიქრეთ, გიორგი ოდნავ გვიან ჩამოსულიყო, თუმცა მერე გადავწყვიტე, ამდენ წოწიალს შინ დარჩენილიყო. მით უმეტეს, ხუთშაბათს უკვე ჩვენც დავბრუნდებით“ — განაცხადა „დერბი ქაუნთის“ მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა და დასძინა, რომ ქინქლაძე 10 აგვისტოს „პრაიდ პარკზე“ „ბარსელონასთან“ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშებს.

ბალტიისპირეთში წასვლამდე კი „დერბი“ მესამე საწვრთნელ მატჩში „სტოკ სიტის“ შეხვდა და ისევე, როგორც წინა ორში, ამჯერადაც ფრედ ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმართა შეტევები უფრო სახიფათო იყო, გოლის გატანა ვერცერთმა გუნდმა მოახერხა. რამდენიმე შანსი გაუშვა ხელიდან ფაბრიციო. რავანელიმ, ვისი დერბული დებიუტიც სწორედ იმ დღეს შედგა. ყოფილმა ლაციოელმა და ქინქლაძემ მოედანზე 79 წუთი დაჰყვეს, მერე კი სმიტმა ორივე შეცვალა. შეგახსენებთ, რომ „დერბიმ“ სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა და ეს ქინქლაძემ შეძლო „სუინდონთან“.

დიდი შედეგიანობით ვერც თემურ ქეცბაიას „ვულვერჰემპტონი“ დაიკვეხნის. „მგლებმა“ ბოლო ამხანაგურ მატჩში სამი გოლი გაუშვეს, თავად კი მეტოქის გამწარება ერთხელაც ვერ შეძლეს. თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან იმ დღეს გადატენილ „მოლინოს“ თვით „ლივერპული“ სტუმრობდა. ამხანაგური უძახეთ და შეხვედრას 27 514 კაცი დაესწრო — 1999 წლის მაისის მერე „ვულვერჰემპტონის“ სტადიონს ასეთი ხალხმრავლობა არ ენახა. ქეცბაია კვლავ სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა, რაც იმის დასტური უნდა იყოს, რომ მის გაყიდვას იქაურები სულაც არ ჩქარობენ.

ანგარიში 27-ე წუთზე გაიხსნა, როცა ნიკ ბარმბის ჩაწოდებულს ყველაზე მაღლა და ზუსტად ფინელი სემი ჰიიპია დაუხვდა. ამას მერსისაიდელთა კართან ხუთწუთიანი შტურმი მოჰყვა, მაგრამ სხვას რომ თავი ვანებოთ, სტუმართა მეკარე პეგი არპეშალმა ტონი დინინგის პენალტიც კი მოიგერია. მოიგერია და რამდენიმე წამში გოლი ისევ მასპინძელთა კარში აღმოჩნდა — დიტმარ ჰამანმა 25 მეტრიდან გაისროლა.

მეორე ტაიმში ლივერპულელების უპირატესობა უფრო გამოიკვეთა და ექვსი წუთის ინტერვალით ჯერ ფაულერმა შეაგდო ოუენის პასით, მერე კი დენი მერფიმ გაარტყა ძელს ისევ 25 მეტრიდან. „ასეთ დონეზე თამაშისთვის მზად ნაღდად არ ვართ“ — აღიარა „მგელთა“ თავკაცმა ჯონ ჟორდმა.

**ვულვერჰემპტონი:** ოუქსი, მუსკატი (ბაზილი 32), კამარა, რობინსონი (ენდრიუსი 66), პოლეტი, ლქსკოტი (ბატლერი 66), ქეცბაია (ბრაწი 46), დინინგი, პროდლოკი (ლარკინი 79), რასელი, სინტონი (კენედი 46);

**ლივერპული:** არპეშადი, ენრისი, ჰიიპია, ბაბელი (მეგემი 69), ჰამანი (ჯერარდი 46), რიისე (მაკალისტერი 46), კარაგერი, ბარმბი (ბისკანი 46), ბერგერი (ოუენი 46), ლიტმანენი (მერფი 46), ჰესკი (ფაულერი 46).

**გიგა ძოგახიძე**


**იყიდება**

ვიოლინო, ზომა 3/4.

ტელ: 33-27-36


# სავიოლა ბარსელონაში ცრემლით იწყებს

შემოდგომაზე ნაღდი ლიგა რომ გაჩაღდება, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის ამბები, ალბათ, დავიწყებული იქნება. თუმცა დღეს ევროპის მთავარი საფეხბურთო თემა ეს არის. ის თექვსმეტი გუნდი, ჯგუფური ეტაპის წინ ბოლო ბარიერს რომ გადალახავს, ლიგაში სულ მცირე ექვს მატჩს გამართავს და რამდენიმე მილიონითაც გამდიდრდება. ამიტომ დღევანდელი და ასევე ორი კვირის შემდგომი საპასუხო მატჩების მნიშვნელობაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტია. გუშინ ორი თამაში ჩატარდა, ქვემოთ კი დღეს მოთამაშე გუნდებზე ვთქვათ.

## ჩემპიონთა ლიგა

დღეს. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

კოპენჰაგენი (დანია) — ლაციო (იტალია)
გალათასარაი (თურქეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ლევერკუზენი (გერმანია)
აიაქსი (ჰოლანდია) — სელტიკი (შოტლანდია)
ვისლა (პოლონეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)
ჰალმსტადი (შვედეთი) — ანდერლეხტი (ბელგია)
პორტუ (პორტუგალია)— გრასჰოპერი (შვეიცარია)
გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია)
სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
პარმა (იტალია) — ლილი (საფრანგეთი)
სტიაუა (რუმინეთი)— დინამო (კიევი, უკრაინა)
ჰაკა (ფინეთი) — ლივერპული (ინგლისი)
ჰაიდუკი (ხორვატია) — მალიორკა (ესპანეთი)

*საპასუხო მატჩები — 21-22 აგვისტოს*

ებრაელებს ცუდი რამ შეემთხვათ — იგივე, რაც რამდენიმე წლის წინ ბათუმის „დინამოს“, როცა ერევნის „არარატის“ წინააღმდეგ დისკვალიფიცირებული დავით სოლოღაშვილი ათამაშეს. ჰაიფას „მაკაბის“ დისკვალიფიცირებულს დალიდ ბადირი ჰქვია და ერთი წლის წინ არნემის „ვიტესთან“ შეხვედრისას სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაუსჯიათ. მესამე მატჩი სწორედ ის იყო, რომელშიც „მაკაბიმ“ ფინურ „ჰაკას“ უმასპინძლა და კლუბის მესვეურთ რატომღაც გონებიათ, რომ ბადირს ამ დროისთვის სასჯელი მოხდილი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ებრაელებმა ამგვარი რამ უთხრეს უეფას, მაგრამ ევროპული ფეხბურთის მამებმა მთხოვნელები დაღონებულები გააბრუნეს — შეცდომა უნებლიე იყო თუ შეგნებული, მნიშვნელობა არ აქვს, უნდა დაისაჯოთო. მოკლედ, „მაკაბის“ ნაცვლად, რომელსაც ტექნიკური მარცხი ჩაეთვალა, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ინგლისური „ლივერპულის“ მეტოქეობა „ჰაკას“ ერგო.

თუმცა, „მაკაბის“ დასჯით ბევრიც არაფერი შეცვლილა. „ლივერპულის“ მძლეველი არც ებრაელები ჩანდნენ და არც ფინელებს უნდა ჰქონდეთ რაიმეს იმედი. ოღონდ, ერთიცაა, ინგლისური და ებრაული გუნდები აქამდე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს და ეს პირველი, ამდენად ისტორიული შეხვედრაც ჩაიშალა. და კიდევ — „ლივერპულს“ „ჰაკა“ უფრო უნდა აწყობდეს, ფინეთი ისრაელზე უფრო ახლოსაა. სხვა მხრივ კი ლივერპულელთა მწვრთნელი ჟერარ ულიე აქამდეც საკმაოდ არხეინად იყო და ახლა, სტივენ ჯერარდის გამოჯანმრთელების მერე უფრო იმედიანად გახლავთ: „სტივენმა „ვულვერჰემპტონთან“ ამხანაგურ მატჩში ერთი ტაიმი ითამაშა და ვნახეთ, რომ კოჭის ტრავმა საბოლოოდ მოშუშებული აქვს. ფინელებთან მას, ალბათ, მთელი 90 წუთი ვათამაშებთ და დარწმუნებული ვარ, დიდად დაგვეხმარება“. აქვე აღვნიშნოთ, რომ „ლივერპულს“ „ჰაკას“ წინააღმდეგ მისი ორი თანამემამულე იარი ლიტმანენი და სემი ჰიიპია ეყოლება.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, შოტლანდიურმა „სელტიკმა“ გასული სეზონი ზარალით დაასრულა. ძველ ვალებს 18 მილიონი დოლარი დაემატა და ჯამში ორმოცდაათი მილიონი დაგროვდა. სქოთთა ჩემპიონატის დონის გათვალისწინებით, ვალების გასტუმრება ერთობ რთულ საქმედ მოჩანს. ამის გამო „სელტიკს“ ჰაერივით სჭირდება ფულის მომცემ ლიგაში გაძრომა, რაც იოლი, ცხადია, არ არის. ბოლოს და ბოლოს, მეტოქედ „აიაქსი“ ჰყავს.

ეს ამბავი მით უფრო გასაკვირია, ვალებს ვგულისხმობთ, რომ „სელტიკს“ ასეთი კარგი გუნდი მას შემდეგ არ ჰყოლია, რაც სათავეში ჯოკ სტინი ედგა, რომელმაც ჩემპიონთა თასი მოაგებინა. ეს კი ამ 34 წლის წინანდელი ამბავია.

ასევე რთულადაა, „სელტიკის“ მარადიული მოქიშპე „რეინჯერსის“ საქმეც, რომელიც ნაკლებსახელოვან, მაგრამ არანაკლებ ძლიერ თურქულ „ფენერბაჰჩეს“ ხვდება.

გავიხსენოთ, რომ „რეინჯერსი“ წინა უქმეების მთავარი სენსაციის ავტორია. დიკ ადვოკაატის ბიჭებმა შინ ვერაფერი მოუხერხეს სქოთურ პრემიერლიგაში ახლად აღზევებულ „ლივინგსტონს“. ამასთანავე საეჭვოა, რომ იმ მატჩში გლაზგოელებს უსახურად „ფენერბაჰჩესთვის“ ენერგიის დაზოგვის მიზნით ეთამაშოთ.

სხვა, წარსულში სახელოვან გუნდთაგან არჩიოთ ჩემპიონთა თასის ათი წლის წინანდელი მფლობელი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“, რომელსაც მეტოქედ ლევერკუზენის „ბაიერი“ ერგო. თუმცა ისიც სათქმელია, რომ „ცრვენას“ ზეობის ათი წლის თავზე ფავორიტად გერმანული გუნდი ითვლება, რომელმაც ახლახან დაწყებულ ბუნდესლიგის სეზონში ორივე მატჩი მოიგო.

იუგოსლავიელთა საიმედოდ კი აი, რა შეგვიძლია ვთქვათ — გერმანელებს ტრავმირებული მიხაელ ბალაკის და ბრაზილიელი ზე რობერტოს გარეშე მოუწევთ თამაში. ბალაკის ტრავმა არც ისე სერიოზულია და მომავალ უქმეებზე ბუნდესლიგაში „ბაიერნის“ წინააღმდეგ ითამაშებს. ზე რობერტო კი ფეხბურთს ორიოდ კვირით ჩამოშორდა.



ხავიერ სავიოლა

იტალიური კლუბები ამ ეტაპზე „პარმათი“ და „ლაციოთი“ არიან წარდგენილნი. ისინი, შესაბამისად, ფრანგულ „ლილს“ და ქართველთა ნაცნობ „კოპენჰაგენს“ ხვდებიან.

ესპანურ კლუბთაგან კი უპირველესად „ბარსელონა“ გვაინტერესებს, რომლის მეტოქეც კრაკოვის „ვისლაა“. ადრევე ვთქვით, რომ ხავიერ სავიოლას და რივალდოს კრაკოვში ჩასვლა საეჭვო იყო. არგენტინელს მამა ჰყავდა მძიმედ ავად და სამშობლოში ამის გამო დაბრუნდა, ხოლო რივალდო ნაკრებში გამოიძახეს.

ახლა კი ასეთი ვითარებაა: სავიოლა მართლაც ვერ ჩადის, რადგან მისი მამა გუშინ გარდაიცვალა. სამაგიეროდ, „ბარსელონა“ და ბრაზილიის ნაკრები რივალდოს თაობაზე შეთანხმდნენ და ის გუნდს პოლონეთში გაჰყვა.

ბრაზილიას ხვალ პანამასთან ელის ამხანაგური მატჩი, ხოლო 15 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პარაგვაის ხვდება. ბრაზილიელებს თავდაპირველად სურდათ, რომ მათ ვარსკვლავს ორივე შეხვედრაში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ საბოლოოდ პანამელებთან რივალდოს შეწუხებაზე უარი თქვეს.

ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე კატალონიელებს კარლეს პუიოლი დაუშავდათ, მაგრამ რაკი რივალდო ჰყავთ, პუიოლს აღარ დაეძებენ. აქვე შეგახსენებთ, რომ 1 სექტემბრამდე დისკვალიფიცირებულია ფრანკ დე ბური.

ოფლის ღვრა მოუწევს მეორე ესპანურ კლუბს — „მალიორკას“, რომელიც დღეს სპლიტში თამაშობს. „ჰაიდუკის“ ქომაგებმა სტადიონის 35 ათასივე ბილეთი, რახანია, დაიტაცეს და იმის გაგონებაც არ სურთ, რომ მათი გუნდი ლიგაში შესაძლოა, ვერ გავიდეს.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მითხარით რამე!

## დუტრუელი დუმილის ცოცხალ კედელს შეეჯახა

**„ბარსელონას“** მეკარე რიშარ დუტრუელი კლუბის წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილს აპირებს. მოგეხსენებათ, კატალონიურმა გუნდმა ცოტა ხნის წინ „რივერ პლეიტის“ კარის დარაჯი რობერტო ბონანო შეიძინა და მაშინვე ცხადი გახდა, რომ ძირითადი მეკარე სწორედ არგენტინელი გახდებოდა.

კარიდან გამოძევებული დუტრუელი გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. მას ჯერაც ვერ შეუტყვია, სჭირდება თუ არა „ბარსელონას“. როგორც თავად აცხადებს, კლუბის ხელმძღვანელობა მასთან ამ საკითხზე საუბარს თავს არიდებს, საკუთარ თავზე ჭორებს გაზეთებიდან თუ იგებს და ყველაფერმა ამან ძალიან დაღალა. დუტრუელს მიაჩნია, რომ მისი უფლებები შელახულია და სასამართლოს იმედიღა დარჩა.

„გაურკვევლობამ დამღალა. როცა „ბარსელონას“ ვჭირდებოდი, ყოველთვის მზად ვიყავი. იმაზეც მაქვს გული გატეხილი, რომ ერთი თანაგუნდელიც არ ცდილობს ჩემს დაცვას ან გამხნევებას“.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ცნობა, რომ დუტრუელის გადაბირებით რამდენიმე ესპანური კლუბი იყო დაინტერესებული. ამაზე მეკარემ თქვა: „კლუბის გამოცვლის პრობლემა არ მაქვს. გადავალ, ოღონდ მაღალი დონის გუნდი



რიშარ დუტრუელი

უნდა იყოს. საფრანგეთის ნაკრებში მოხვედრას და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებას ვგეგმავ. ამას იმ შემთხვევაში შევძლებ, თუ კარგ კლუბში ვითამაშებ“.

ცნობისთვის: რიშარ დუტრუელი თავის დროზე საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების კარს იცავდა და მაშინ მის მხარდამხარ კრისტოფ დიუგარი და ზინედინ ზიდანი თამაშობდნენ. „პარი სენ ჟერმენის“ მეკარე შემდეგ „სელტამ“ იყიდა. 1998-99 წლების სეზონი ფრანგისთვის ყველაზე წარმატებული გამოდგა. მან ვიგოური კლუბის რეკორდი დაამყარა — 520 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია. მერე ფრანგი „ბარსელონამ“ შეიძინა.



ალფონსო პერესი

თავისი მომავალი ვერ გაურკვევია კიდევ ერთ ბარსელონელს, ალფონსოსაც. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი კატალონიურ კლუბში წინა სეზონის დაწყებამდე „ბეტისიდან“ გადაბარგდა, თუმცა „ბარსას“ რიგებში შეცვლებზე თუ ათამაშებდნენ.

თავად ფეხბურთელმა, რომლის შეძენის სურვილიც მადრიდის „ატლეტიკომ“ გამოთქვა, ამასწინათ თქვა, რომ „კამპ ნოუზე“ ბედნიერია და უთამაშებლობის მიუხედავად, კლუბის გამოცვლას არ აპირებს. მან ბევრი ილაპარაკა „ბარსას“ სიდიადეზე და დასძინა, მინდა, წლეულს ჩემპიონობა მოვიგოო.

მაგრამ სანამ ალფონსო „ბარსელონას“ ქებაში იყო, კლუბის ხელმძღვანელობამ სხვაგვარად გადაწყვიტა და ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა. მის სანაცვლოდ ხუთ მილიონ დოლარს ითხოვენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაკლებია შარშან „ბეტისისთვის“ გადახდილ თანხაზე, თუმც ჩამოფასებულ ალფონსოს მყიდველი ჯერ მაინც არ გამოუჩნდა.

**ნიკა ჩუგლაძე**

# გულადტერი თუ ალაპარაკდა...

## სანსის რეალის შავი სალარო შიგნიდან გატყდა



ლორენსო სანსი

**როცა ერთი** კვირის წინ მადრიდის „რეალში“ აუდიტორული შემოწმება ჩატარდა და 350 მილიონი პესეტა (1.7 მილიონი დოლარი) ოფიციალურ დოკუმენტებში აღურიცხავი აღმოჩნდა, კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა განაცხადა, ეს კამპანია ფლორენტინო პერესმა ჩემი სახელისთვის ჩირქის მოსაცხებად წამოიწყოო. ამასთანავე, სანსმა აუდიტორთა კვალიფიკაციაშიც შეიტანა ეჭვი, ჩემს დროს აუდიტს ისეთი პატივსაცემი ფირმები ატარებდნენ, როგორებიც PRICE WATERHOUSE და DELOITTE & TOUCHE არიან, ახლა კი ღმერთმა უწყის, ვის ხელშია ეს ფრიად პასუხსაგები საქმეო. თუმცა სინიორ სანსმა ყოველი შემთხვევისთვის თავი დაიზღვია და დაუმატა, რომ თუ დარღვევები მართლაც იყო, პასუხი იმ ხალხს უნდა მოეთხოვოს, რომლებიც უშუალოდ აკონტროლებდნენ „რეალის“ ფინანსურ ანგარიშებსო.

ალბათ, სანსის ამ სიტყვების პასუხი გახლდათ რამდენიმე დღის წინ გაზეთ „მარკაში“ გამოქვეყნებული სანსის დროინდელი ბუღალტრის, ხუან ონიევას აღსარებაც, რომელშიც ფინანსისტი კონკრეტულ მაქინაციებზე ლაპარაკობს.

ონიევოს აღსარებაში ის აზრი იკვეთება, რომ კლუბის ხელმძღვანელობა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისული მაყურებლის რაოდენობას მალავდა, საბუთებში მნიშვნელოვნად ამცირებდა, რითაც ბილეთების გაყიდვით მიღებული თანხის ნაწილი შავ სალაროში მიედინებოდა. შემდეგ ეს ფული იმ გუნდთა „წახალისებისთვის“ გამოიყენებოდა, რომლებიც „რეალის“ უშუალო კონკურენტებს ხვდებოდნენ.

ონიევომ 1998 წლის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩი გაიხსენა დორტმუნდის „ბორუსიასთან“, რომელზეც დამსწრე მაყურებელთა ზუსტი რაოდენობაც ხელმძღვანელობამ დამალა. შეგახსენებთ, რომ ეს ის მატჩია, რომლის დაწყებამდეც „ბერნაბეუზე“ ერთ-ერთი კარი მოტყდა და ახლით შესაცვლელი შეიქნა.

ის, რაზეც ფინანსისტი ლაპარაკობს, ისეთი ბრალდებაა, რომ საკმაოდ ძნელი დასაჯერებელია, პრეზიდენტი საქმის კურსში არ ყოფილიყო. თუმცა, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა ლორენსო სანსმა ამ საქმის თაობაზე, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას საკმარისი საფუძველი გააჩნია გამოძიების დაწყებისთვის. ამის შესახებ გუშინ ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა ოფიციალური განცხადება გააკეთა. ძიებას საგანგებოდ შექმნილი დამოუკიდებელი კომისია წარმართავს.

საინტერესოა, რომ ინგლისურ ჟურნალ „ფუტბოლ ბიზნეს ინტერნეიშენალის“ ცნობით, წინა სეზონში „რეალის“ ფინანსურმა ბრუნვამ 108 მილიონი დოლარი შეადგინა, რითაც „სამეფო კლუბი“ მსოფლიოში მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ (157 მილიონი) და მიუნხენის „ბაიერნს“ (118 მილიონი) ჩამორჩა.

თავად კლუბში კი ამჟამად საკადრო საქმეებით არიან დაკავებულნი. გუშინ „რეალმა“ კონტრაქტი შეუწყვიტა 24 წლის იუგოსლაველ ფორვარდ პერიცა ოგნიენოვიჩს, რომელმაც ორ სეზონში მხოლოდ თორმეტჯერ ითამაშა და მადრიდში, წესით, 2003 წლამდე უნდა დარჩენილიყო. როგორც ამბობენ, „შავ სიაში“ ალბერტო რივერა და კოლუმბიელი ედვინ კონგოც არიან, რომლებიც ამ დღეებში დარჩებიან უმუშევრები.

**გიორგი დარჯანია**

# ჩვასი გვარდიოლამ თავი დაიფასა



ხოსეპ გვარდიოლა

**ხოსეპ გვარდიოლა** აგერ უკვე ოცდაათის მოყრილა და როგორც ყველა სერიოზული კაცი, საფეხბურთო კარიერის ღირსეულად დასრულებაზე უნდა ფიქრობდეს. „ბარსას“ აწ უკვე ყოფილი კაპიტანი, დიდი ხანია, რაც კატალონიელთა კერპია. გუნდის სიმბოლოდ ქცეულს, რაღა თქმა უნდა, შეეძლო, ლურჯ-წითელი მაისურით მოსილს კიდევ საკმაო ხანს ებურთავა მშობლიურ კლუბში, მაგრამ პეპმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. არავინ ექაჩებოდა, არანაირი საფრთხე უთამაშებლობისა არ ემუქრებოდა. მან კი მაინც თქვა, კარიერას უცხოეთში, სავარაუდოდ, პრემიერლიგაში დავასრულებო და „ბარსელონასა“ და კაპიტნის გზებიც გაიყარა. „კამპ ნოუ“ უგვარდიოლოდ დარჩა, გვარდიოლა კი, როგორც ირკვევა, უგუნდოდ. დიახ, გაგიკვირდებათ, მაგრამ ბარსელონელის გადაბირების მცირერიცხოვან მსურველთა ამალას დიდი მონდომება არ ეტყობა. გვარდიოლას აგენტი ყველას არწმუნებდა, „ტოტენჰემს“, „არსენალს“, „ნიუკასლს“, „ლიონსა“ და „ოლიმპიაკოსს“ ფეხბურთელის თავისთვის დაბევება აქვთ განზრახულიო, მაგრამ ბარსელონელი ჯერჯერობით ისევ ბარსელონაშია. აგენტი გაკვირვებულია: „საოცარია გუნდების ხელმძღვანელთა გულგრილობა. გვარდიოლა თავისუფალი აგენტია და მასში ფულის გადახდა არავის მოუწევს. მით უმეტეს, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი შეუძლია. მისი ფასი „ნიუკასლის“ მწვრთნელმა ბობი რობსონმაც კარგად იცის, მაგრამ რატომღაც ფეხს ითრევს“.

რობსონი და გვარდიოლა ერთმანეთს შესანიშნავად იცნობენ. ბრიტანელი წლების მანძილზე მოძღვრავდა კატალონიელებს და ხოსეპ გვარდიოლა რობსონის გუნდის ბურჯი იყო.

მაგრამ მწვრთნელისა და ფეხბურთელის უთანხმოებაც ამ დროიდან იწყება. გვარდიოლას რობსონის სათამაშო ტაქტიკა მთლად გულზე არ ეხატებოდა და ხშირად საკუთარ აზრს სახალხოდაც გამოთქვამდა.

რობსონს მეამბოხე, ჭირვეული ფეხბურთელი, თუნდაც ვარსკვლავი, არ სჭირდება. „ჯორდთა“ თავკაცი, ალბათ, სწორედ პირადი ურთიერთობების გამო ამბობს გვარდიოლაზე უარს. მაგრამ გლენ ჰოდლს, არსენ ვენგერს და იმ დანარჩენი გუნდების ხელმძღვანელებს, რომლებსაც თითქოს ბარსელონელი თილისმის გადაბირება სურდათ, გვარდიოლასთან ამგვარი უთანხმოება არ აქვთ. მიზეზი იმისა, რომ პეპ გვარდიოლამ ახალი ბინა ჯერჯერობით ვერსად დაიდო, სხვა რამ უნდა იყოს. სიმართლეს ჰგავს და სავსებით რეალურიც არის ჟურნალისტების მიერ გავრცელებული მოსაზრება: ხოსეპ გვარდიოლა წელიწადში 4,2 მილიონს ითხოვს. ასეთი პრეტენზიები კი ფეხბურთელთან მოსალაპარაკებლად მისულთ აიძულებს, ცივად გაბრუნდნენ უკანო.

**გიორგი მამარდაშვილი**

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

მე-2 ტური: შვაინფურტი — ზაარბრიუკენი 2:1; ალენი — ფიურტი 1:0; ობერჰაუზენი — უნიონი 0:3; როიტლინგენი — არმინია 2:3; ბოხუმი — კარლსრუე 1:1; ბაბელსბერგი — დუისბურგი 3:1; ჰანოვერი — ალემანია 3:0; მაინცი — უნტერჰახინგი 2:0; ვალდჰოფი — აინტრახტი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალენი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| მაინცი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბაბელსბერგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ჰანოვერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| უნიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| აინტრახტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ვალდჰოფი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბოხუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კარლსრუე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| არმინია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| შვაინფურტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ფიურტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ობერჰაუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| როიტლინგენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| ზაარბრიუკენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| უნტერჰახინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| დუისბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| ალემანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

შვეიცარიის ჩემპიონატის A ჯგუფის მეექვსე ტურში ლუგანო — ლოზანას მატჩი 3:0-ზე შეწყდა და არ დასრულებულა. გადათამაშება დღეისთვისაა დანიშნული

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## დანია

მე-3 ტური: მიდტიულანდი — კოპენჰაგენი 0:0; ვიბორგი — ორჰუსი 0:0; ოლბორგი — აკადემისკი 0:2; ბრონდბიუ — ოდენსე 2:0; ესბიერგი — ვაილე 1:1; სილკებორგი — ლიუნგბიუ 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| კოპენჰაგენი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ოლბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ლიუნგბიუ | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| აკადემისკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ოდენსე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მიდტიულანდი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ვიბორგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სილკებორგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ვაილე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| ესბიერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ორჰუსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

## შვედეთი

მე-16 ტური: ჰალმსტადი — აიკ 2:2; დიურგარდენი — ჰეკენი 2:1; სუნდსვალი — იორგრიტე 2:2; გიოტებორგი — ელფსბორგი 2:2; ნორჩიოპინგი — ჰამარბი 1:2; ტრელებორგი — იორებრო 1:1; ჰელსინგბორგი — მალმიო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 16 | 9 | 5 | 2 | 27:15 | 32 |
| იურგარდენი | 16 | 8 | 5 | 3 | 21:15 | 29 |
| გიოტებორგი | 16 | 7 | 6 | 3 | 27:18 | 27 |
| იორგრიტე | 16 | 6 | 7 | 3 | 23:18 | 25 |
| მალმიო | 16 | 7 | 3 | 6 | 27:22 | 24 |
| ჰალმსტადი | 16 | 6 | 5 | 5 | 34:22 | 23 |
| აიკ | 16 | 6 | 5 | 5 | 21:18 | 23 |
| ჰელსინგბორგი | 16 | 5 | 7 | 4 | 25:21 | 22 |
| ელფსბორგი | 16 | 5 | 4 | 7 | 22:29 | 19 |
| იორებრო | 16 | 3 | 9 | 4 | 24:26 | 18 |
| ნორჩიოპინგი | 16 | 4 | 5 | 7 | 16:26 | 17 |
| ჰეკენი | 16 | 3 | 6 | 7 | 19:25 | 15 |
| სუნდსვალი | 16 | 3 | 5 | 8 | 12:22 | 14 |
| ტრელებორგი | 16 | 2 | 4 | 10 | 16:37 | 10 |

# გაზა ზაფხულს დაემალა

**იყო დრო,** როცა პოლ გესქოინი ინგლისური ფეხბურთის ქომაგთა ჯილა გახლდათ. იყო დრო ის მოედანზე ბრწყინავდა და ექსტრავაგანტურ გიჟმაჟს თაყვანისმცემელთა ურიცხვი ამალა ჰყავდა. მაგრამ პოლის უწესრიგობამ და უწესობამ მისი ტალანტი დაჩრდილა. სპირტისა და სპორტის ურთიერთშეუთავსებლობა კარგად მოგეხსენებათ და გესქოინიც ხშირად მიმართავდა სარეაბილიტაციო ცენტრებს. თავზეხელაღებულს და თავშეუკავებელს ხშირადაც უთქვამს, მირჩა, ფეხბურთს ვუბრუნდებიო, მაგრამ ვისკის სიყვარული მაინც თავისას აკეთებდა.

პოლ გესქოინის რეპუტაციის კაცს ცოტა ვინმე თუ ენდობა. „ევერტონის" მწვრთნელი უოლტერ სმიტი კი ერთ-ერთი მათგანია. ამიტომაც იგი საკმაოდ გაღიზიანებულია გესქოინის გარშემო მოარული ახალი ხმებით, რაც ამჯერად ლოთობას არ ეხება. ჟურნალისტების თქმით, გაზას კარიერა წამებსღა ითვლის, რადგან ოცდათოთხმეტი წლის ფეხბურთელმა ამას წინათ ზურგის ტრავმა მიიღო და „ტრანმერთან" ამხანაგური მატჩი გამოტოვა. უცებ ალაპარაკდნენ, გესქოინი თამაშს ვეღარ შეძლებსო, მაგრამ უოლტერ სმიტს შეგირდი არ ეთმობა, ანაც უდიდესი ოპტიმისტია და იმედიანად აცხადებს: „გესქოინის შესახებ ყოველთვის იყო და ახლაც არის უამრავი მითქმა-მოთქმა. მისი ყველა ნაბიჯი, კარგი თუ ცუდი, ხმაურიანია. გაზამ „ტრანმერთან" თამაში მცირე ტრავმის გამო გამოტოვა. მართალია, მძიმე ზაფხული ჰქონდა, მაგრამ ახლა ნელ-ნელა ფორმაში შედის, იმედია, სეზონის დასაწყისში მას მოედანზე ვიხილავთ".

ჭორის მოყვარულ ჟურნალისტებს და ქომაგებს კი სწორედ ეს მძიმე ზაფხული აინტერესებთ. სმიტისთვის დასმული კითხვების უმეტესობაც ფეხბურთელის პირად პრობლემებს ეხებოდა. მწვრთნელმა ყველას გასაგონად თქვა, რომ პოლ გესქოინს ამ თვალსაზრისით ამჟამად ყველაფერი რიგზე აქვს, მაგრამ თუ რატომ იყო ზაფხული მძიმე, ამაზე არაფერი უთქვამს.

ცნობილია, რომ გაზამ, რომელსაც „გუდისონ პარკთან" კონტრაქტი კიდევ თორმეტი თვით აკავშირებს, მძიმე ზაფხულის უმეტესი დრო არიზონაში, სარეაბილიტაციო კლინიკაში გაატარა.

**გიორგი მამარდაშვილი**



პოლ გესქოინი

## ამხანაგური მატჩები

# მიატოვიჩს ფულის ნაცვლად თავისუფლება მისცეს



პრედრაგ მიატოვიჩი

**ბენფიკა 1:0 ფიორენტინა**

1:0 არშელი (8)

**ფიორენტინა:** ტალიალატელა, დი ლივიო (ტოროცი 79), ადანი, ბაროლუცი (აგოსტინი 66), მორეტი, კოისი (ამარალი 79), ბენინი (ამოროზო 85), როსი (მიატოვიჩი 85), მორფეო, კოზა, ნუნუ გომეში (თადეი 66)

„ფიორენტინა" დიდძალ ვალებშია ჩაფლული, მაგრამ სეზონისწინა შეკრებისთვის ფული მაინც გამონახა და ლისაბონში ჩავიდა.

ამხანაგური მატჩის კვალობაზე, სტადიონზე ბლომად ხალხი მივიდა და ტაშიც დაუკრა ნუნუ გომეშს, რომელიც პორტუგალიაში ერთობ უყვართ. თუმცა ეს ხალხი ცხადია, „ბენფიკას" ქომაგობდა და მატჩის შედეგით კმაყოფილი დარჩა.

ფლორენციელები იქიდან ინგლისში გაემგზავრნენ, სადაც ასევე ამხანაგურად „ტოტენჰემსა" და „ლესტერს" შეხვდებიან.

ამასობაში „ფიორენტინას" კიდევ ერთი ფეხბურთელი — პრედრაგ მიატოვიჩი ტოვებს, რისი მიზეზიც ისევ და ისევ უფულობაა. საქმე ის გახლავთ, რომ კლუბი იუგოსლაველს კუთვნილ ხელფასს ვერ უხდის, რაც წელიწადში 3,3 მილიონ დოლარს შეადგენს. ჰოდა, კლუბმა და ფეხბურთელმა კონტრაქტი გაწყვიტეს, რის შედეგადაც მიატოვიჩმა — 1998 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთადერთი გოლის გამტანმა, თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო. ამბობენ, მიატოვიჩმა უკვე მიიღო შეთავაზება ბერძნული „ოლიმპიაკოსისგანო".

თავად ფეხბურთელი ამბობს: „წინა სეზონი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე გავატარე, რაკი ფატიჰ თერიმი და მერე რობერტო მანჩინი ენრიკო კიეზას და ნუნუ გომეშს უფრო ენდობოდნენ. ჯერ არ გადამიწყვეტია, სად წავალ — რამდენიმე წინადადება მაქვს, მაგრამ ისეთ გუნდში მინდა თამაში, რომელშიც სკამზე არ დამსვამენ". ასე რომ, ლისაბონური ხუთი წუთი მიატოვიჩისთვის ბოლო ფიორენტინულია.

**გიორგი დარჯანია**

**მუსკრონი 0:2 რაიო ვალეკანო**

0:1 პაბლო სანსი (35), 0:2 პერაგონი (72)

**ვივიერო 1:6 დეპორტივო**

0:1 ვიქტორი (5), 0:2 ჩანგი (33), 0:3 დიეგო ტრისტანი (50), 1:3 პასი (54), 1:4 ივან პერესი (64), 1:5, 1:6 დიეგო ტრისტანი (80, 89)

„ვივიერო" მესამე ესპანურ დივიზიონში თამაშობს.

# ვალენსიაში თაფლობის თვეა

**კაპიტანი** ნებისმიერ გუნდს სჭირდება, მათ შორის „ვალენსიასაც". ყველა გზა რომში მიდისო და იქ ჩასულმა გაისკა მენდიეტამ კაპიტნის სამკლავური ვალენსიაში დატოვა, ექტორ რაულ კუპერის ადგილზე მისულმა რაფაელ ბენიტესმა კი მას ახალი მფლობელი მოუნახა — სანტიაგო კანისარესი. ამიერიდან გუნდს მინდორზე თავყვითელა მეკარე გაიყვანს.

ეტყობა, რომ ახალ მწვრთნელს კანისარესზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, როგორც მწვრთნელს და როგორც, უბრალოდ, ადამიანს. „მოხარულნი ვართ, რომ კლუბში რაფაელ ბენიტესი მოვიდა. ის შესანიშნავი სპეციალისტია. მასთან ერთადაც შეგვიძლია დიდ წარმატებებს მივაღწიოთ. ამასთან, იგი კარგი ფსიქოლოგიც არის და საჭირო დროს საჭირო სიტყვების მოძებნა არ უჭირს. იგი გვეუბნება, რომ გუნდმა კი არ უნდა იმუშაოს მინდორზე, არამედ უნდა ითამაშოს და ისიამოვნოს" — თქვა კანისარესმა.

თავის მხრივ, მწვრთნელმაც არ დაიშურა ტკბილი სიტყვები მოთამაშეთათვის: „იმ ფეხბურთელებით, რომლებიც ამჟამად გუნდში არიან, კარგი შედეგის მიღწევა შეგვიძლია. თუ ისინი ჩემპიონატის განმავლობაში კარგ ფორმას შეინარჩუნებენ, სხვა ფეხბურთელებზე არც ვიფიქრებ. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ბიჭები „ვალენსიაში" თამაშით კმაყოფილნი იყვნენ."

ბოლოს ესეც დავამატოთ, „ვალენსიას" ნორვეგიელმა თავდამსხმელმა იონ კარეუმ ვარჯიშისას მსუბუქი ტრავმა მიიღო, ხოლო არგენტინელი კილი გონსალესი კუჭის ტკივილის გადამკიდე ბაზაზე საერთოდ არ გამოჩენილა.

**ვაჟა ხუციშვილი**



სანტიაგო კანისარესი

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ლივერპულის" ერთბაშად სამმა ფეხბურთელმა — სტივენ ჯერარდმა, ჯეიმი კარაგერმა და დიტმარ ჰამანმა ამ უქმეებზე კლუბთან კონტრაქტი გააახანგრძლივა. „ენფილდ როუდზე" ისინი 2006 წლამდე დარჩებიან. „ლივერპული" მომავალ შაბათს „ჩარითი შილდად" წოდებულ ინგლისის სუპერთასზე „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა შეხვდეს.

**შვეიცარიელმა** მცველმა ბერნტ ჰაასმა ამ უქმეებზე „სანდერლენდთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, პრემიერლიგელებმა კი 23 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ „გრასჰოპერს" 750 ათასი გირვანქა გადაუხადეს. მცველმა, რომელსაც შვეიცარიის ნაკრებში 9 თამაში ჩაუტარებია, ახალ კლუბში წარდგენისას განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ პრემიერლიგაში მომიწევს თამაში. ვიცი, რომ „სანდერლენდი" კარგი კლუბია და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე სტადიონი აქვს". შვეიცარიელი „სანდერლენდის" მეხუთე ახალწვეულია. ახალი სეზონის დაწყებამდე პიტერ რიდმა ლილიან ლასლანდი, დევიდ ბელონი, ნიკოლა მედინა და ბაკი მერჩიმეკი შეიძინა.

**იტალიის** ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა პიერლუიჯი კაზირაგიმ, რომელიც ბოლოს ლონდონის „ჩელსიში" ირიცხებოდა, მაგრამ ტრავმის გამო კარგა ხანია, მინდორზე არ გამოჩენილა, სათამაშო კარიერა დაასრულა და მწვრთნელობა დაიწყო. „ლაციოს" ყოფილი მოთამაშე სამშობლოში დაბრუნდა და „მონცას" ახალგაზრდულ გუნდს ჩაუდგა სათავეში. ეს კლუბი ამჟამად სერია C-ში თამაშობს, კაზირგიმ კი კარიერა სწორედ იქ დაიწყო. „კიდევ მინდოდა პრემიერლიგაში თამაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმამ ხელი შემიშალა. მწვრთნელობას ვცდი და ვიმედოვნებ, რომ წარმატებას მივაღწევ" — განაცხადა ყოფილმა ფორვარდმა.

**ინგლისურმა** „ჩარლტონმა" „ქუინზ პარკ რეინჯერსის" ნახევარმცველი კევინ პიკოკი სამთვიანი იჯარით აიყვანა, თუმცა, როგორც კლუბი იუწყება, გამართლების შემთხვევაში ფეხბურთელს უფრო მეტი ხნით დაიტოვებს. პრემიერლიგურ გუნდს მცირე დროში ორი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა: კაპიტანმა მარკ კინსელამ საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და თვეზე მეტ ხანს ვერ ითამაშებს, ტრავმირებულია ნახევარმცველი ჯონ რობინსონიც. კიდევ ერთი დანაკლისი — შონ ნიუტონი ჩარლტონელებმა „ვულვერჰემპტონში" გაყიდეს. მწვრთნელმა ალან კერმიშლიმ განაცხადა, რომ 33 წლის პიკოკის გარდა ახლო მომავალში კიდევ ერთ ნახევარმცველს გადაიბირებს.

**ბრაზილიის** ნაკრების ნახევარმცველმა ვამპეტამ „ფლამენგოსთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი ტრანსფერის ღირებულება არ გაცხადებულა, ის კი ცნობილია, რომ თანხას ორი კლუბი — „პარი სენ ჟერმენი" და მილანის „ინტერი" გაიყოფს. ეს ადრევე იყო გათვალისწინებული, ფეხბურთელის გაყიდვის შემთხვევაში ორივე გუნდს ერგებოდა წილი. ვამპეტა ამჟამად ბრაზილიის ნაკრებშია გამოძახებული. ეროვნული გუნდი რამდენიმე დღეში ამხანაგურ მატჩში პანამას უნდა შეხვდეს.

**იტალიური** სააგენტოების ცნობით, „მილანმა" 22 წლის მცველი დანიელე დინო „დერბი ქაუნთიში" გაანათხოვრა. შეთანხმება ერთწლიანია, თუმცა ამის შემდეგ ბრიტანელებმა შესაძლოა, საბოლოოდ დატოვონ იტალიელი. „დერბიდან" კიდევ ერთი სიახლეა — ვეტერანმა ნახევარმცველმა სტეფანო ერანიომ, რომელიც „პრაიდ პარკზე" ოთხი სეზონია თამაშობს, კლუბთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**არგენტინულმა** „ბოკა ხუნიორსმა" იაპონიის ბაზრისკენ გაიხედა და „ჯუბილო ივატადან" ნახევარმცველი ნაოჰირო ტაკაჰარა ერთწლიანი იჯარით გადაიბირა. შეთანხმებით, სამხრეთამერიკულ კლუბს ერთი სეზონის შემდეგ უფლება აქვს, 22 წლის ფეხბურთელი სამ მილიონ გირვანქად შეიძინოს. იაპონიის ნაკრების მოთამაშე ამ დღეებში არგენტინაში ჩავა და კარლოს ბიანკის გუნდთან ოფიციალურად გააფორმებს კონტრაქტს.

**ურუგვაის** „ნასიონალმა" „დეპორტივოს" თავდამსხმელი სებასტიან აბრეუ დეკემბრამდე იჯარით აიყვანა. ფეხბურთელი, რომელიც გალისიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, ურუგვაელია. მან კარიერა „დეფენსორში" დაიწყო, საიდანაც „სან ლორენსოში" მოხვდა. შემდეგ აბრეუ ესპანელებმა შეიძინეს, თუმცა მან იჯარით ხან მექსიკაში ითამაშა, ხან ისევ „სან ლორენსოში". „მინდა, რომ ურუგვაის ნაკრებში მიმიწვიონ. თუ „ნასიონალში" თავს გამოვიჩენ, ამის შანსი მომეცემა" — თქვა ფეხბურთელმა.

**ბრაზილიური** „კრუზეიროს" მწვრთნელი პაულო სესარ კარპეჯანი თანამდებობიდან დაითხოვეს, მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა ქვეყნის ახალდაწყებულ ჩემპიონატში ორიდან ორივე მატჩი წააგო, ხოლო მერკოსურის თასზე ორი ტურში მხოლოდ ერთი ფრე გაახერხა. არადა, „კრუზეირო" სეზონის დაწყებამდე ერთობ მოძლიერდა, მის რიგებში კოლუმბიელი ნახევარმცველი ფრედი რინკონი და ბრაზილიელი თავდამსხმელი ედმუნდო ჩაირიცხნენ. კარპეჯანიმ გუნდს სულ 11 შეხვედრაში უხელმძღვანელა. აქედან ოთხი მატჩი ფრედ დაასრულა და ამდენივე წააგო. გამარჯვება კი სამჯერ შეძლო. „კრუზეიროს" მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატებად ბრაზილიის ნაკრების ყოფილ თავკაც ემერსონ ლეაოს და იამაიკის ასევე მწვრთნელყოფილ სენა სიმაიუსს მიიჩნევენ.

**შოტლანდიურმა** „რეინჯერსმა" „ევერტონისგან" 6,5 მილიონ გირვანქად მცველი მაიკლ ძული იყიდა, ფეხბურთელი დღეს მოაწერს კონტრაქტს ხელს. აქვე გეტყვით, რომ „ევერტონმა" ცოტა ხნის წინ „მიდლსბროს" 5-მილიონიანი წინადადება უარყო. ფეხბურთელი გლაზგოურ კლუბს ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ვერ დაეხმარება, რადგან განცხადებებში შესწორების შეტანა უკვე დაგვიანებულია. შოტლანდიის ჩემპიონატის მატჩებში კი, ალბათ, მალევე გამოჩნდება.

**იტალიური** კლუბები „ლაციო" და „ფიორენტინა" შეთანხმდნენ, რომ 24 წლის ნახევარმცველი რობერტო ბარონიო რომიდან ფლორენციაში გადავა და მომავალ სეზონში იჯარით „ფიორენტინას" ღირსებას დაიცავს. ბარონიოს დღეს ოფიციალურად შეიყვანენ „იისფერთა" განაცხადში და იგი ლონდონს მიაშურებს, სადაც მანჩინის გუნდი შეკრებას გადის.

**ფრანგული** „მონაკოს" ახალმა მწვრთნელმა დიდიე დეშამპმა კლუბის ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს გუნდში შემდეგი მოთამაშეები არ სჭირდება: მცველები ბრუნო ირლესი და ჟულიენ როდრიგესი, ნახევარმცველი ნიკოლა ბონალი და ფორვარდები დადო პრშო, ვანიუ ელუა და ფლორინ რადუჩიუ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ რამდენიმე თვის წინ დატოვა დაჩაირიცხა „მონაკოში" ბუქარესტის „დინამოდან". დეშამპმა განაცხადა, რომ ამ ფეხბურთელების გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილით კოლუმბიელი თავდამსხმელის ვიქტორ მონილიას შეძენას აპირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

**ასტონ ვილა:** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ბლეკბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი), ლუკ იუნგი (ტოტენჰემი), გევინ პიკოკი (ქუინზ პარკ რენჯერსი).**

**ჩელსი:** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი), ფრანკ ლებეფი (მარსელი, საფრანგეთი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი), ბუდევინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი), შონ დოჰერტი (ფულემი), მაიკლ ბოლი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია), დანიელე დაინო (მილანი, იტალია), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), შონ დოჰერტი (ევერტონი), ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია).**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული).**

**ლიდსი:** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

**ლივერპული:** იან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი).**

**მიდლსბრო:** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბე (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **სილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია), როი კეროლი (უიგანი).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი), ლორან რობერი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელიონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), ლუკ იუნგი (ჩარლტონი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## იტალია

**ატალანტა:** ივან პელიცოლი (რომა), მასიმო დონატი (მილანი), კრისტიან ძენონი (მილანი), დომენიკო მორფეო (ფიორენტინა), სტეფანო გალო (ტერნანა), მარკო ნაპი (ტერნანა), ნიკოლა ვენტოლა (ინტერი), ნილ სივილია (რომა), მაურიციო განცი (თამაში მიატოვა), სტეფანო ლორენცი (კიევო); **ლუკა საუდატი (მილანი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ჯანი კომანდინი (მილანი), ლუიჯი სალა (მილანი), მასიმო ტაიბი (რეჯინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ფაბიანო (ბაია, ბრაზილია), კორადო კოლომბო (ინტერი), პიეტრო ფოლიო (ვენეცია), უსმან დაბო (მონაკო, საფრანგეთი), ანტონიო კალდერონი (მონცა), ლუკა ძინი (პისტოიეზე), დავიდე ნატალი (მონცა).**

**ბოლონია:** ფრანსისკო ლიმა (რომა), ჯონათან ბინოტო (ინტერი), ენცო მარესკა (იუვენტუსი), მარკო როკატი (ნაპოლი), სტეფანო ბია (სენტ ეტიენი, საფრანგეთი); **ფაბიო მაჩელარი (ინტერი), ანტონიო ბელუჩი (ნაპოლი), სტეფანო გორეტი (პერუჯა), პიერპაოლო ბაკარდო (სპეცია), ნიკოლა კოპოლა (ნაპოლი), მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მარკო როკატი (დანდი, შოტლანდია).**

**ბრეშა:** მასიმილიანო კაპუტო (ლივინგსტონი, შოტლანდია), სტეფანო ბიზოლი (პისტოიეზე), ფილიპო გალი (თამაში მიატოვა), ანტონიო მარინო (თამაში მიატოვა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (ინტერი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), დარიო უბნერი (პიაჩენცა); ანტონიო პიზანო (ასკოლი), აურელიო (კოზენცა); **მელვინ ბრაუნი (დერტონა, ავსტრალია), ფრანკო კარაჩიოლო (პრო ვერჩელი), ხორხე სალგადო (დეპორტივო უაჩიპატო, მექსიკა), ნიკოლა გრანდე (ფროზინონე), კარლო მერო (ტერნანა), დავორ იავორჩიჩი (კროტონე), ჯუზეპე ტინონზინი (კოდონო), მარკო ბრონოლი (სან ანჯელო), დარიო დაინელი (ლეჩე), მარკუს შოპი (შტურმი, ავსტრია), ლუკა ტონი (ვიჩენცა), ფედერიკო ჯუნტი (მილანი).**

**კიევო:** სტეფანო კარბონე (პისტოიეზე), კრისტიანო გარძონი (პავია), ჯუზეპე მარკონი (ტერნანა), დავიდე ფრანჩესკინი (რეჯინა), პიეტრო მარკონი (ტერნანა), გაუჩო ბალდი (პესკარა), კარლო ფრეცოლინი (ლეჩე), ნიკოლა ჩიოპრიზი (ლოდიჯანი); **მარკო ძანკეტა (რეჯინა), სტეფანო მარაცინა (რეჯინა), კრისტიანო ლუპატელი (რომა), პიერო რეგროტალიე (მოდენა), კრისტიანო კავალი (კარარეზე), ანჯელო ბრუნო (ნაპოლი), ფრანკო როსი (ფაზანო), სიმონე პეროტა (იუვენტუსი), ალენ დელონი (ბაია, ბრაზილია), სტეფანო ლორენცი (ატალანტა).**

**ფიორენტინა:** მაურო ბრესანი (ვენეცია), სალიუ ლასისი (პარმა), დანიელე ბონორა (პისტოიეზე), მანუელ რუი კოშტა (მილანი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), ენცო ტავანო (ემპოლი); ლუიჯი აგოსტინი (ტერნანა), ენცო ტავანო (რონდინელა), პრედრაგ მიატოვიჩი (თავისუფალი აგენტი); **რობერტო კასანო (ვოგერა), ეზეკელ გონსალესი (როსარიო სენტრალი, არგენტინა), არის ვაკუფცისი (რავენა), დომენიკო მორფეო (ატალანტა), ლუიჯი ბენინი (ტერნანა), რობერტო ბარონიო (ლაციო).**

**ინტერი:** ფაბიო მაჩელარი (ბოლონია), ჯანლუკა ლიძორი (ტერნანა), კორადო კოლომბო (ატალანტა), სტეფანო ფისორე (ტორინო), ადრიან მუტუ (ვერონა), სებასტიან ფრეი (პარმა), ანდრეა პირლო (მილანი), მატეო ფერარი (პარმა), მარკო ფერანტე (ტორინო), ბრუნო ჩირილო (ლეჩე), კრისტიან ბროკი (მილანი), ჯანლუკა ფრეცა (რომა), მარკო ბალოტა (მოდენა), მარკო კანეირა (ბენფიკა, პორტუგალია), ვამპეტა (ფლამენგო, ბრაზილია); **კორადო კოლომბო (ტორინო), ემრე ბელოზოღლუ (გალათასარაი, თურქეთი), სტეფანო ფისორე (ლეჩე), სალვატორე ფრეზი (ნაპოლი), სტეფანო ლომბარდი (პერუჯა), კრისტიან მენეზესი (ნასიონალი, ურუგვაი), ოკან ბურუქი (გალათასარაი, თურქეთი), სიქსტო პერალტა (ტორინო), მარტინ რივასი (მალაგა, ესპანეთი), ანსელმო რობიატი (პერუჯა), ნიკოლა ვენტოლა (ატალანტა), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი), ალბერტო ფონტანა (ნაპოლი), კრისტიანო ძანეტი (რომა), ჯონათან ბინოტო (ბოლონია), მოჰამედ კალონი (ვიჩენცა), მარკო მატერაცი (პერუჯა), დიეგო კანეირა (რეჯინა), სერჟიო კონსეისაუ (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ნიკოლა ფრაუ (რომა), გრიგორის გეორგატოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ანდრეს გულიელმინპიეტრო (მილანი).**

**იუვენტუსი:** რაფაელე ამეტრანო (ნაპოლი), მატეო ბრიგი (ბოლონია), ფილიპო ინძაგი (მილანი), სიმონე პეროტა (კიევო), ჯონათან ბაკინი (პარმა), მარკო ძანკი (პერუჯა), ფაბიო პეკია (ნაპოლი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი), ხუან ესნაიდერი (ტენერიფე, ესპანეთი), ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი); **ლილიან ტურამი (პარმა), მარკო ძანკი (ვიჩენცა), რაფაელე ამეტრანო (კროტონე), ჯონათან ბაკინი (ბრეშა), ენცო მარესკა (ბოლონია), ფაბიო პეკია (ნაპოლი), სიმონე პეროტა (ბარი), ნიკოლა ამორუზო (ნაპოლი), პაოლო სკული (კროტონე), მასიმილიანო ვიერი (ანკონა), კრისტიან ძენონი (მილანი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), პაველ ნედვედი (ლაციო), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), დავიდე ბაიოკო (პერუჯა), იაროსლავ სედივეცი (პლზენი, ჩეხეთი), ხუან ესნაიდერი (სარაგოსა, ესპანეთი).**

**ლაციო:** სტეფანო დომიცი (მილანი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), ემანუელე პეზარეზი (ბენფიკა, პორტუგალია), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), რობერტო ბარონიო (ფიორენტინა); **სეზარ როდრიგესი (სან კაეტანო, ბრაზილია), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ანდრეა კომაცი (მილანი), ივან დე ლა პენია (ბარსელონა, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა), გაისკა მენდიეტა (ვალენსია, ესპანეთი).**

**ლეჩე:** დარიო დაინელი (ბრეშა), სტეფანო ფისორე (ინტერი), დიეგო ლოტი (აველინო), ანტონიო კონვერნსანო (დი სანგრო), ფილიპო მანიტა (მესინა), ედუსეი (კოზენცა), ნიკოლა ვაზარი (სამპდორია), კრისტიანო ლუკარელი (ტორინო), დარიო ვიალი (ვენეცია); **დიურიკ ვინკლაარი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანსელმო ბილოტი (რავენა), კარლო ფრეცოლინი (კიევო), ბრუნო ჩირილო (ინტერი), ფილიპ ბილი (ლევალუა, საფრანგეთი).**

**მილანი:** ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ, ბრაზილია), ლუიჯი სალა (ატალანტა), ჯანი კომანდინი (ატალანტა), ლუკა საუდატი (ატალანტა), პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ანდრეა რაბიტო (მოდენა), სტეფანო დომიცი (მოდენა), ანდრეა კომაცი (ლაციო), მირკო სადოტი (პესკარა), კარლო ტეოდორანი (ვერონა), კრისტიან ძენონი (იუვენტუსი), მარკო ტოპიჩი (კოტბუსი, გერმანია), მატია გრაფიედი (ნაპოლი), ფედერიკო ჯუნტი (ბრეშა), ზვონიმირ ბობანი (სელტა, ესპანეთი), იბრაჰიმ ბა (მარსელი, საფრანგეთი), ანდრეს გულიელმინპიეტრო (ინტერი), დანიელე დაინო (დერბი ქაუნთი, ინგლისი); **კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ხავი მორენო (ალავესი, ესპანეთი), მასიმო დონატი (ატალანტა), კრისტიან ძენონი (ატალანტა), ფაბრიციო კოლოჩინი (სან ლორენსო, არგენტინა), სირილ დომორო (ბასტია, საფრანგეთი), ნიკოლა კორენტი (სიენა), დრაჟენ ბრნჩიჩი (ვიჩენცა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა), ანდრეა პირლო (ინტერი), მასიმო მაკარონე (ემპოლი), სტეფანო დომიცი (ლაციო), მატია გრაფიედი (ჩეზენა), ლუკა დე ძერბი (სალერნიტანა), გაბრიელე ალდეგანი (მონცა), მოჰამედ ალიუ (მონცა), კრისტიან ბროკი (ინტერი).**

**პარმა:** ლილიან ტურამი (იუვენტუსი), ანდრეა დიმპორძანო (უდინეზე), მატეო გუარდალბენი (პიაჩენცა), ადაილტონი (ვერონა), ანტონ სერიჩი (ვერონა), დიეგო ფუზერი (რომა), სალიუ ლასისი (რომა), რაფაელე ლონგო (რომა), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი), მატიას ალმეიდა (ლაციო), ნიკოლა მორა (პიაჩენცა), პაოლო პოჯი (პიაჩენცა), პაოლო კანავარო (პარმა), ხონიერ მონტანო (პარმა); **ემილიანო ბონაცოლი (ვერონა), პაოლო პოჯი (რომა), მარტინ ლაურსენი (ვერონა), ჯოვანი გრიეკო (ჯენოა), სალიუ ლასისი (ფიორენტინა), ჯამპიერო მაინი (ვენეცია), ნიკოლა მორა (ტორინო), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პერუჯა), სერგეი გურენკო (რომა), ამადეო მანგონე (რომა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), სებასტიან ფრეი (ინტერი), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), მატეო ფერარი (ინტერი), მარკო მარკიონი (ემპოლი), კლაუდიო ტაფარელი (გალათასარაი, თურქეთი), მარტინ ჯეტუ (მონაკო, საფრანგეთი).**

**პერუჯა:** მარკო მატერაცი (ინტერი), ლუკა საუდატი (მილანი), მიროსლავ ზაკეი (ემპოლი), სტეფანო გორეტი (ბოლონია), სტეფანო ლომბარდი (ინტერი), ანსელმო რობიატი (ინტერი), მარკო რივალტა (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პარმა), ფაბიო ლივერანი (იუვენტუსი), დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი), ფაბიან გინაზუ (გვადალახარა, მექსიკა), ალესანდრო პიერი (უდინეზე); **ჯონ მაური (სტანდარდი, ბელგია), შაბონე სპანი (კონექტი, ტრინიდადი და ტობაგო), სტეფანო გროსო (კიეტი), ჟაკემინი (სტანდარდი, ბელგია), ჟან გალერი (ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო კინალი (ვენტელა), რობერტო დი ფრანჩესკო (ინდიპენდიენტე, არგენტინა), ანტონიო ფუზანი (ბრეშელო), მარკო ძანკი (იუვენტუსი), ანდრეა სონჩინი (ვიჯევანო), სეად მუსლიმოვიჩი (უდინეზე), სალვატორე მატრეკანო (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), ალი შემერეზი (ესტეჯლალი, ირანი).**

**პიაჩენცა:** ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი), პაოლო კრისტალინი (ვიჩენცა), ნიკოლა არტიკო (პესკარა), დავიდე ზიტოლო (პიზა), ფაბიო მატეასი (ვერონა); **პალმიერი (სალერნიტანა), ფაბიო მატეასი (ბრეშელო), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), მატეო გუარდალბენი (პარმა), ანტონიო ნიკოლეტი (რეჯანა), ჯუზეპე კრისტანე (რავენა), პაოლო ორლანდონი (რეჯინა), პაოლო პოჯი (პარმა), ნიკოლა მორა (ტორინო), დარო უბნერი (ბრეშა), ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (ნაპოლი), ამაური (ნაპოლი).**

**რომა:** ეუსებიო დი ფრანჩესკო (პიაჩენცა), ალესანდრო რინალდი (ატალანტა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), პაოლო პოჯი (პარმა), ვინჩენცო დაგოსტინო (ბარი), კრისტიანო ლუპატელი (კიევო), ამადეო მანგონე (პარმა), სერგეი გურენკო (პარმა), რაფაელე ლონგო (პალერმო), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), ნიკოლა ფრაუ (ინტერი), აბელ ედუარდო ბალბო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა); **ფრანსისკო ლიმა (ბოლონია), ივან პელიცოლი (ატალანტა), ანტონიო კასანო (ბარი), ნილ სივილია (ატალანტა), ივან ტომიჩი (ალავესი, ესპანეთი), პაოლო პოჯი (ბარი), დიეგო ფუზერი (პარმა), სერგეი გურენკო (სარაგოსა, ესპანეთი), სალიუ ლასისი (პარმა), რაფაელე ლონგო (პარმა), დავიდე ფრეცა (სავოია), ჯანლუკა ფრეცა (ინტერი), სებასტიან სეხარი (ნიუელ ოლდ ბოიზი, არგენტინა).**

**ტორინო:** ჯიბრილ დიავარა (ბოლტონი, ინგლისი), კორადო კოლომბო (ინტერი), სიქსტო პერალტა (ინტერი), ნიკოლა მორა (პარმა), ედუარდო არტისტიკო (კროტონე), რიკარდო მასპერო (დერბი ქაუნთი, ინგლისი), კრისტიან შვოკი (ვიჩენცა); **პიერლუიჯი პოლეტი (აკილა), ანტონიო ბალძარეტი (ვარეზე), ფრანკო (პენიაროლი, ურუგვაი), ეუჯენიო სორენტინო (ვარეზე), სტეფანო ფისორე (ინტერი), მარკო ტირიბოკი (სიენა), ფაბიენ ასტა (ნაპოლი), კრისტიანო ლუკარელი (ლეჩე), დანიელე კომოტო (ვიჩენცა), ფაბიო პეკია (იუვენტუსი), მარკო ფერანტე (ინტერი), სტეფანო ტურკეტი (ანკონა).**

**უდინეზე:** სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯულიანო ჯანიკედა (ლაციო), მორტენ ბისგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), სეად მუსლიმოვიჩი (პერუჯა), მასიმო მარჯოტა (ტერნანა); **ანდრეა დიმპორძანო (პარმა), ნიკოლა ელი (სალერნიტანა), მარტინ კროლდრუპი (აკადემისკი, დანია), ფაბიან მარტინესი (ტოლუკა, მექსიკა), დიკ მეერდინკი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), მაურისიო პინედა (ნაპოლი), ანტონიო სკარლატო (რავენა), ხუან პავონი (ატლეტიკო მორეილა, კოლუმბია), ნიკოლა ბედინი (სამპდორია), სიაბონგა ნომვეტე (კაიზერ ჩიფსი, სამხრეთ აფრიკა), ალესანდრო პიერი (პერუჯა), დიმიტრიოს ნალიცისი (პაოკ, საბერძნეთი), სამუელ კაბალიერო (?, ჰონდურასი), მარკოს პაულუ (კრუზეირო, ბრაზილია), დავიდ დი მიკელე (სალერნიტანა).**

**ვენეცია:** ჯამპიერო მაინი (პარმა), ანტონიო მაზიოლო (ლუმეცანე), მარკო ლუპი (თამაში მიატოვა), პიეტრო ფოლიო (ატალანტა), სტეფანო პედონე (კომო), ანჯელო ტოფანინი (პადოვა), კლაუს იბერტსბერგერი (ტიროლი, ავსტრია); **მაურო ბრესანი (ფიორენტინა), ხუან მანულ კარერი (ალიანსე, პერუ), მირკო ცვიტანოვიჩი (ვერონა), სტეფან ბუდანი (ბელინცონა), ჯუზეპე ჯიოკინი (სავოია), ჯიმი ალჟერინო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), სამუელ დე ფრანჩესკი (სალერნიტანა), პაოლო კულო (ასკოლი), მეტ ბიანკი (პისტოიეზე), დანიელ ანდერსონი (ბარი), დარიო ვიალი (ლეჩე), სტეფანო ბელე (აკილა).**

**ვერონა:** მარტინ ლაურსენი (პარმა), ემილიანო ბონაცოლი (პარმა), სტეფანო სგრინა (ვიჩენცა), ემანუელე ფერარეზე (ჩიტადელა), მირკო ცვიტანოვიჩი (ვენეცია); **ანტონიო დილიზო (კალიარი), ადაილტონი (პარმა), ადრიან მუტუ (ინტერი), ჯოვანი ალიეტი (პისტოიეზე), კარლო ტეოდორანი (მილანი), ფაბიო მატეასი (ვერონა), ჯანლუკა კოსუ (ლუმეცანე), ანტონიო პიოვანელი (ჩიტადელა), ლუიჯი ფილიპინი (ნიცა, საფრანგეთი), ანტონ სერიჩი (პარმა), პაოლო კანავარო (პარმა), ხონიერ მონტანო (პარმა).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

მსოფლიოს ჩემპიონატი. ედმონტონი (კანადა). 3-12 აგვისტო

# იცით კი, რა ოთხი წელიწადი?!

## მარიონ ჯონსმა წაგება გაიხსენა

**მორის გრინი** და ტიმ მონტგომერი ბილიკებზე რომ გამოჩნდნენ, ედმონტონში თანამეგობრობის სტადიონი აგუგუნდა — 40 ათასი კაცი უცდიდა მძლეოსნობის ყველაზე პრესტიჟულ გარბენს 100 მეტრზე. ფინალში იყვნენ გრინი, მონტგომერი, ბერნარდ უილიამსი, ატო ბოლდონი, დუეინ ჩემბერსი, კიმ კოლინზი, კრისტიან მალკოლმი და აბდულ აზიზ ზაკარი — ცნობილ სპრინტერთა უმეტესობა და აკი ამიტომაც 5 მოწინავე 10 წამში ჩაეტია, რაც იშვიათი რამ გახლავთ.

მთავარ კონკურენტებად მაინც გრინს და მონტგომერის ასახელებდნენ, რადგან პირველი ხომ დღეს უეჭველად ყველაზე სწრაფ სპრინტერად ითვლება დედამიწის ზურგზე, მეორემ კი ცოტა ხნის წინ მოწმენდილ ცაზე დაიქუხა სეზონის გრინისეული რეკორდის დამხობით. შემდეგ მონტგომერი იმუქრებოდა, გრინს ედმონტონში გავუსწორდებიო, ეს უკანასკნელი მკვახედ პასუხობდა და მოკლედ, ინტრიგა შეიკრა. საჩინო ადგილას ისხდნენ ტრევორ გრემი და ჯონ სმიტი, მონტგომერის და გრინის მწვრთნელები, რომლებიც სპრინტერთა მზადების მსოფლიო ასებად ითვლებიან და კონკურენტებიც თავისთავად არიან. გრემი სჯობნის სმიტს ქალთა საკითხში — მარიონ ჯონსი მისი გაზრდილია და ახლა კი მონტგომერი გაამზადა მასწავლებელმა ვაჟთა ფრონტის დასაპყრობად, მაგრამ რბენის დაწყებამდე მომხდარმა მონტგომერის შანსებს ბევრი ჩამოაკლო, იგი ფალსტარტზე ამხილეს. ამის შემდეგ გრინი კოზირს ფლობდა და სამი ფალსტარტის შემდეგ ყველაზე სწრაფად დაიძრა. 40 მეტრის ამოწურვისას გრინის უპირატესობა გამოიკვეთა, 80 მეტრის შემდგომაც იგი მეტრით უსწრებდა მონტგომერის, მაგრამ უეცრად გრინის სიჩქარე დაეცა და მონტგომერიმ სხვაობის შემცირება დაიწყო, რაც ბოლომდე ვერ გამოუვიდა და 0,03 წამით მაინც ჩამორჩა. გრინმა დაამყარა სეზონის რეკორდი და რომ არა ის დამუხრუჭება, იქნებ მსოფლიოსიც დაემხო. ასე ფიქრობს ჯონ სმიტი, რომელსაც იმ დღეს იუბილე ჰქონდა. ჟურნალისტი ჯეიმს დანევეი გრინთან ერთად დოპინგ-კონტროლზე მამალივით ამაყად მიმავალ სმიტს დაეწია და ჰკითხა, ჰქონდა თუ არა გრინს



ჯონათან ედვარდსმა ედმონტონში უძლიერესი სამხტომელის სტატუსი დაიმტკიცა

REUTERS ედმონტონიდან

9,75 წამის შანსი (მსოფლიოს რეკორდი გრინსავე ეკუთვნის და 9,79-ს შეადგენს). სმიტმა მხოლოდ მოიხედა. „კი, იქნებ ნაკლებისაც" — თქვა და გზა განაგრძო. მერე გაირკვა, რომ 80 მეტრის შემდეგ გრინი მართლა ეტეოდა მსოფლიო რეკორდის გრაფიკში, ფინიშთან კი მოუვიდა ის, რომ ტრავმა მიიღო.

„გვერდში ტკივილი ვიგრძენი — ამბობს თურმე გრინი — მეგონა, ფეხის აწევას ვერ შევძლებდი, მაგრამ თავს ვუთხარი, ეს ვერ გამაჩერებს, დაე, მეტკინოს-მეთქი". გრინის ტრავმა მერე გამოიკვლიეს და ნახეს, რომ მისი თეძო სერიოზულად დაზიანებულა, ამიტომ გრინმა ედმონტონში წერტილი დასვა, იგი აღარ ირბენს არც 200 მეტრზე, არც 4X100 მეტრიან ესტაფეტას, თუმც დიდხანს უქმობას არ აპირებს, 17 აგვისტოს ციურიხში ისევ და ისევ მონტგომერის წინააღმდეგ გამოვა.

ამ იმედითაა მონტგომერიც. „ფალსტარტი ოქროდ დამიჯდა — ირწმუნება იგი — ვიცოდი, რომ გრინისთვის სტარტისას უნდა მეჯობნა, მაგრამ მარცხი მომივიდა თუ არა, მივხვდი, რომ საქმე გავირთულე, ბევრი გავეცი და ვერ დავიბრუნებდი. მე ვიქნები ციურიხში, ბრიუსელში, კეთილი ნების თამაშებზე და მორის, იცოდე: სადაც გინდა და როცა გინდა!"

ასე დამთავრდა ეს ამბავი, ედმონტონში კი ვნებათაღელვა გაგრძელდა. 6 აგვისტოს ვაჟთა 400-მეტრიან გარბენზე უცნობებმა იზეიმეს. ჩემპიონი გახდა ბაჰამელი ავარდ მონკური და თუ იგი ასე თუ ისე პროფესიონალად ითვლება, ბუნდესვერის ოფიცერი ინგო შულცი დარბის მხოლოდ იმიტომ, რომ ამას არმიის და მით უფრო, გერმანული არმიის ცხოვრება ითხოვს. ამიტომ ედმონტონში მოყვარულად ჩასულს მიზნად სულ არ ჰქონია ვერცხლის მედალი, ნახევარფინალში გასვლითაც თავს სავსებით ბედნიერად იგრძნობდა.

ფავორიტები აშკარად სხვები იყვნენ: ამერიკელი ანტონიო პეტიგრიუ, იამაიკელი გრეგორი ჰოუტონი და საუდის არაბეთელი ჰამდან ალ ბიში. ყველა მათგანი გვიხსენებია ჩვენი სამძლეოსნო წერილების ტექნიკურ ნაწილში მაინც, მაგრამ ამჯერად შედეგებში ისინი არ იქნებიან (ჰოუტონის გარდა, რომელიც მესამე იყო), ვახსენებთ კი აყლაყუდებს (ორ მეტრზე ნაკლები არც ერთია), მონკურსა და შულცს, რომელთაც გიგანტური ნახტომებით დაჩაგრეს გამოცდილი სპრინტერები და პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ. შულცი ვიცე-ჩემპიონობას არაფრით იჯერებდა, ველოდები, როდის გამაღვიძებენო, ხოლო გერმანელი ჟურნალისტი გუსტავ შვენკი ცდილობდა, შულცის წარმატება ახალი ფერებით გაემდიდრებინა.

„საინტერესოა ერთი რამ — უთხრა ჟურნალისტმა ჟურნალისტებს — ინგო ლინდენელი (ქალაქია ბრემენთან ახლოს) გახლავთ და იქ მძლეოსნობა, როგორც ასეთი, ეჯავრებათ. გერმანიაში იმ კუთხეს „მძლეოსნობის არაბულ უდაბნოს" უწოდებენ, რადგან მას არ უშვია არც ერთი ოდნავ მაინც წარმატებული მძლეოსანი. ამ დროს კი ინგეს უყურეთ"!..

იაპონიაც არ ბრწყინავს სამძლეოსნო ასპარეზზე. ამომავალი მზის ქვეყნელებს ძირითადად მარათონებზე თუ შენიშნავთ და ახლა კი მათ ჰყავთ ერთი ღონიერი კაცი, რომელიც სამძლეოსნო იაპონიას ყველაზე კარგად წარმოაჩენს. ვგულისხმობთ მეუროე კოჯი მუროფუშის, რომელიც შვილია განთქმული მეუროის, შიგენობუ მუროფუშისა, მაგრამ ადრეულ ასაკში თურმე სულ არ ეტყობოდა, რომ ამ საპატიო საქმეს გაჰყვებოდა. „15 წლის კოჯი მეტრი და 84 სანტიმეტრი კი იყო, მაგრამ სულ 66 კილოს იწონიდა" — თქვა კოჯის მამამ და მწვრთნელმა შიგენობუ მიროფუშიმ, ახლა კი კოჯი ბულა კამეჩს ჰგავს და პლანეტის მეორე უროს მტყორცნელად ითვლება. პირველთან ბრძოლამ მას ედმონტონში მოუწია და წააგო, ისევე, როგორც სიდნეის ოლიმპიადაზე. პოლონელი შიმონ ციოლკოვსკი ამჯერადაც ჩემპიონი გახდა, მუროფუშის კი ის ეწყინა, რომ პოლონელმა გამარჯვება ერთი ღონიერი ტყორცნით დაიმსახურა. მუროფუშიმ ერთხელ ურო 82,46 მეტრზე გაგზავნა, მერე — 82,92-ზე და ბოლოს 82,61 უჩვენა, მაგრამ იაპონიის დელეგაციის არაიაპონურად მფეთქავი ემოციები ციოლკოვსკიმ ერთი გაქნევით ჩაახშო — 83,38 მეტრი და ოქროს მედალი. მუროფუშის ვერცხლი დარჩა.

თანამეგობრობის სტადიონზე კი ხალხი განსაკუთრებით აღელდა, როცა ქალები 100 მეტრის სარბენად გაემზადნენ, მაგრამ ფინალამდე ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა — ნახევარფინალში მარიონ ჯონსი ჟანა პინტუსევიჩს ჩამორჩა.

ნუ მიაქცევთ ყურადღებასო, ამბობდა ჯონსი ფინალის წინ, ფორმიდან არ ამოვვარდნილვარ და მთავარი ხომ წინ არისო. ვაგლახ ჯონსისთვის, რომ ფინალი ნახევარფინალის ასლი გამოდგა. უკრაინელმა ჟანა პინტუსევიჩმა, რომელიც ახლახან თავის ამერიკელ აგენტთან შეუღლდა და გვარზე ბლოკი მიიმატა, ბრწყინვალე სტარტის შემდეგ ჯონსი არ გაიკარა და ფინიშზე სამი მეასედი წამით ადრე გადავიდა. ამით 4 წელიწადი გასრულდა და იცით კი, რა 4 წელიწადი? 1997 წელს მარიონს ლეგენდარულმა მერლინ ოტიმ რომ გაუსწრო, იმის შემდეგ ამერიკელს ტურნირი არ წაუგია, 42 შეჯიბრში გავიდა და ყველა მოიგო.

ჯონსი კატასტროფას ვაჟკაცურად შეხვდა. „ყველა ადამიანი ოდესმე აგებს — თქვა მან — ახლა სხვა დისტანციების მოგებაზე უნდა ვიფიქრო, მოტივაცია ხომ შემემატა. პინტუსევიჩზე კი ვერაფერს ვიტყვი — გამარჯვება დაიმსახურა".

თვითონ გამარჯვებული მუხლებზე დაემხო და სიხარულს კარგა ხანს გამოხატავდა. 1997 წლის ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრის მოგების შემდეგ ფორტუნამ უკრაინელს ზურგი აქცია, უმედლოდ დარჩა იგი სიდნეის ოლიმპიადაზეც.

ორშაბათის სხვა ამბებიდან კი ქალთა ჭოკით ხტომა გამოირჩევა, რომელშიც ამ საქმის დიდოსტატი სტეისი დრაგილა ბეწვზე გახდა ჩემპიონი. სვეტლანა ფეოფანოვა ამერიკელს მეტად სახიფათოდ უტევდა და ორივე მეჭოკემ ძალიან მაღალი შედეგი უჩვენა — 4,75 მეტრი, მხოლოდ დამატებითმა მაჩვენებლებმა გამოკვეთა დრაგილას უპირატესობა. სხვები ერთობ ჩამორჩნენ, ისევე, როგორც შუბის მტყორცნელნი ოსლეიდის მენენდესს. კუბელი მსოფლიოს რეკორდსმენის უპირატესობა აშკარა იყო.

**დავით გულუა**

### ვაჟები

**მარათონი**

1. გეზაჰენე აბერა (ეთიოპია) 2:12.42
2. სიმონ ბიივოტი (კენია) 2:12.43
3. სტეფანო ბალდინი (იტალია) 2:13.18

**20 კმ.სიარული**

1. რომან რასკაზოვი (რუსეთი) 1:20.31
2. ილია მარკოვი (რუსეთი) 1:20.33
3. ვიქტორ ბურაევი (რუსეთი) 1:20.36

**ბირთვი**

1. ჯონ გოდინა (აშშ) 21,87
2. ადამ ნელსონი (აშშ) 21,24
3. არსი ჰარიუ (ფინეთი) 20,93

**100 მ.**

1. მორის გრინი (აშშ) 9,82
2. ტიმ მონტგომერი (აშშ) 9,85
3. ბერნარდ უილიამსი (აშშ) 9,94

**ურო**

1. შიმონ ციოლკოვსკი (პოლონეთი) 83,38
2. კოჯი მუროფუში (იაპონია) 82,92
3. ილია კონოვალოვი (რუსეთი) 80,27

**სამხტომი**

1. ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი) 17,92
2. კრისტიან ოლსონი (შვედეთი) 17,47
3. იგორ სპასოვხოდსკი (რუსეთი) 17,44

**400 მ.**

1. ავარდ მონკური (ბაჰამის კუნძულები) 44,64
2. ინგო შულცი (გერმანია) 44,87
3. გრეგორი ჰოუტონი (იამაიკა) 44,98

### ქალები

**ბირთვი**

1. იანინა კოროლჩიკი (ბელარუსი) 20,61
2. ნადინ კლაინერტ-შმიტი 19,86
3. ვიტა პავლიში (უკრაინა) 19,41

**ჭოკი**

1. სტეისი დრაგილა (აშშ) 4,75
2. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4,75
3. მონიკა პირეკი (პოლონეთი) 4,55

**შუბი**

1. ოსლეიდის მენენდესი (კუბა) 69,53
2. მირელა მანიანი-ცელილი (საბერძნეთი) 65,78
3. სონია ბისე (კუბა) 64,69

**100 მ.**

1. ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი (უკრაინა) 10,82
2. მარიონ ჯონსი (აშშ) 10,85
3. ეკატერინი ტანუ (საბერძნეთი) 10,91

### მედლების მონაგარი

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აშშ | 3 | 3 | 2 | 8 |
| 2. | რუსეთი | 2 | 2 | 3 | 7 |
| 3. | ბელარუსი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 4. | კუბა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 5. | პოლონეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 6. | უკრაინა | 1 | 0 | 1 | 2 |



ოსლეიდის მენენდესს ოდნავაც ვერავინ შეეწინააღმდეგა

REUTERS ედმონტონიდან



სტეისი დრაგილამ სვეტლანა ფეოფანოვას კარგად გარჯა მოუწონა და აწუგეშა

REUTERS ედმონტონიდან



ბასკოს ახალწვეულნი: ანტონ არხიპოვი, დავით თორთლაძე, ფიოდორ სლიშალოვი, დავით ბერძენიშვილი

# ბასკო ის აღარ არის, მაგრამ ბასკოა
## ბათუმში ზრდიან და იწვევენ

შეიქმნა თუ არა ბათუმის „ბასკო", პირველივე სეზონში საქართველოს ჩემპიონის ტახტზე დაბრძანდა და, ბოლო ორი სეზონია, მისი ბატონ-პატრონია. რუსთავის „აზოტი" და „სტუ-ჯეოსელი" ბევრს ეჯაჯგურნენ, მაგრამ ზღვისპირელთა ჩემპიონობას ძვრა ვერ უყვეს. ამ ბოლო დროს ხმები დაირხა, „ბასკო" იშლებაო. ჩემპიონთა გუნდი მართლაც დაიშალა, მაგრამ ეს მხოლოდ მის შემადგენლობაზე ითქმის, თორემ დღეს რომ „ბასკოს" დღეები უდგას, ისე რომ კიდევ სამი-ოთხ ჩვენს კლუბს ჰქონდეს საქმე, ეროვნული ჩემპიონატის დონეზე აუგს ძნელად თუ იტყოდა ვინმე. უკვე გამცნეთ, რომ გუნდში ზურაბ ტომარაძის ნაცვლად ახალგაზრდა, მაგრამ თავის სამშობლოში უკვე ცნობილი რუსი მწვრთნელი, პაველ გოოგე მივიდა. ისიც გაუწყეთ, რომ სლოვაკეთის „სლოვაკოფარმას" ქართველმა ცენტრმა დავით ბერძენიშვილმა თავისი ბედი ერთი წლით „ბასკოს" დაუკავშირა. ძველი შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ ექვსი მოთამაშე დარჩა: ვლადიმერ ბეჟანიშვილი, ამბროსი ორმოცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ირაკლი საყვარელიძე, სერგო ათუაშვილი და ლაშა კეშელავა. ისინი მომავალ სეზონშიც ეცდებიან, ჩემპიონთა ტიტული არავის დაანებონ. რაც შეეხება ახალწვეულებს, ამ ზღვა ხალხში უმრავლესობას ახალბედები შეადგენენ. რასაც „ბასკომ" რამდენიმე წლის წინ ჩაუყარა საფუძველი, მის შედეგს ახლა იმკის. ბათუმის გუნდს დიდი საკალათბურთო სკოლა აქვს და შევსებაც სწორედ მისგან მიიღო. დავით იმნაძე, მამუკა ბოლქვაძე, მანუჩარ ნინუა, ვანო მაისურაძე, ნიკა ჩხარატიშვილი, აჩიკო ბოლქვაძე და გიორგი დოლიძე — ეს ბიჭები 15-16 წლისანი არიან და ეროვნულ ჩემპიონატში მათი დებიუტი წლეულს ბათუმელთა გუნდში შედგება. „ბასკოს" საკალათბურთო სკოლაში კიდევ იმდენი პერსპექტიული კალათბურთელი ირიცხება, რომ მათ მხოლოდ ერთი გუნდი ვერ დაიტევდა. სწორედ ამ ბიჭებით დაკომპლექტებული „ბასკოს" ახალგაზრდული გუნდი მიიღებს წლეულს მონაწილეობას ჩრდილოეთ ევროპის ახალგაზრდულ საკლუბო ლიგაში, რომლის პირველი ტური შუა დეკემბერში სანკტ პეტერბურგში გაიმართება. მეორე თებერვალში ტალინში ჩატარდება, ხოლო მესამე ერთი თვის შემდეგ კაუნასში. თითო ტურში უმცროსი ბასკოელები ხუთ შეხვედრას ითამაშებენ. ტურნირში 16 გუნდი მოიყრის თავს: მარჩულიონისის სკოლა, ცსკა, მინსკის რტი, ვალტერსის სკოლა. ასევე პოლონეთის, შვედეთისა და გერმანიის წამყვანი კლუბების ახალგაზრდული გუნდები. ამათგან სამი ტურის შემდეგ გამოვლენილი ექვსი საუკეთესო ამ ლიგის თასისთვის ბრძოლას მოსკოვში, ცსკა-ს საკალათბურთო დარბაზში ფინალურ სერიაში გააგრძელებს.

ახალგაზრდების გარდა „ბასკოში" გამოცდილი კალათბურთელებიც მოვიდნენ. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა დავით თორთლაძემ თბილისის „დინამო" დატოვა და მომავალი სეზონიდან ბათუმელთა გუნდში ვიხილავთ. მართალია, გუნდი სერგეი დროჟანოვმა დატოვა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბათუმელები ორი რუსი მოთამაშით გაძლიერდნენ. ანტონ არხიპოვი ქართველი ქომაგისთვის უცხო არ არის. იგი „ბასკოს" პირველად გაჩემპიონებაში დაეხმარა, შემდეგ კი მოსკოვს მიაშურა და ერთი სეზონი იქაურ „სპარტაკში" დაჰყო, რაც შეეხება მეორე სლავს, იგი საქართველოს პირველად ეწვია. ფიოდორ სლიშალოვს ჭაბუკობისას „ბასკოს" ახალდანიშნულ მწვრთნელთან ეკატერინბურგში ჰქონია ურთიერთობა. პაველ გოოგემ პერსპექტიული, აწ უკვე გამოცდილი მოწაფე არ დაივიწყა და ბათუმში იახლა. საქართველოში ჩამოსვლამდე რუსი უკანახაზელი ეკატერინბურგის სკა-ში გამოდიოდა. როგორც ერთი შეხედვით გამოჩნდა, სლიშალოვი ურიგო მოთამაშე არ უნდა იყოს, თუმცა ამ კითხვას პასუხი ჩემპიონატის დაწყების შემდეგ გაეცემა.

ჩემპიონებს კიდევ ერთი ახალწვეული ჰყავთ. „ბასკომ" შავკანიანი მოთამაშის გარეშე დარჩენა არ ისურვა და აშშ-ში გამგზავრებული ჯეფ როჯერსის ნაცვლად თბილისის „მაკაბიში" მომჩის გარეშე დარჩენილი კამერუნელი ფორვერტ ტუჯანი მიიწვია. როგორც აფრიკელი ამბობს, მას ნატვრა აუხდა: „აქ ყველაფრით უზრუნველყოფილი ვარ. საუცხოო პირობები მაქვს, როგორც სავარჯიშოდ, ისე სხვა მხრივაც. „ბასკო" საქართველოში ყველაზე ძლიერი გუნდია და აქ თამაში ჩემთვის დიდი პატივია. აქ ბევრი მეგობარი შევიძინე. ქალაქიც ძალიან მომწონს. ვთვლი, რომ „ბასკოზე" უკეთეს პირობებს საქართველოში ვერც ერთი კლუბი ვერ შემომთავაზებდა. ჯერჯერობით ერთი სეზონით ვარ აქ ჩამოსული, მაგრამ თუ გუნდის ხელმძღვანელობას მომავალშიც გაუჩნდება ჩემი გუნდში ხილვის სურვილი, ალბათ, კვლავაც „ბასკოში" დავრჩები".

გუნდმა მომავალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო. ბათუმელები ინტენსიურად, დღეში ორჯერ ვარჯიშობენ. გუნდი მოსამზადებელ ეტაპს ბათუმში გაივლის, რადგან იქ ამისთვის იდეალური პირობებია. „ბასკოს" რომ კოხტა, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო დარბაზი აქვს, ეს აქამდეც ცნობილი იყო. ახლა კი ბასკოელები აუზით, სატრენაჟორო ოთახითა და საუნითაც ისარგებლებენ. მოკლედ, ზღვისპირა ქალაქში ყველა პირობაა იმისთვის, რომ ხეირიანად მოემზადო და კალათბურთი ითამაშო. მაგრამ როგორც გუნდის ხელმძღვანელობა აცხადებს, „ბასკო" ჩემპიონატის განახლებამდე საზღვარგარეთული ტურნირის გარეშე არ დარჩება. თუმცა ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რომელ ქვეყანაში ან ტურნირში მიიღებენ ბათუმელები მონაწილეობას.

მართალია, ვერ ვიტყვით, რომ „ბასკოს" დღევანდელი შემადგენლობა შარშანდელზე ძლიერია, გუნდი ხომ ბევრმა ძლიერმა კალათბურთელმა დატოვა, მაგრამ ერთი კი ცხადია, ეროვნულ ჩემპიონატში „ბასკოს" ჰეგემონიის დამხობა ნებისმიერი კლუბისთვის უძნელესი ამოცანა იქნება.

**ირაკლი პერტაია**


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ
ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

## გოლდენ სტეიტ ვორიორზი

დაარსდა 1946 წელს
ნბა-ს ჩემპიონი: 1947, 1956, 1975
მუდმივი ნომერი: 13 (უილტ ჩემბერლენი), 14 (ტომ მეშერი), 16 (ელ ეტლისი), 24 (რიკ ბერი), 42 (ნეიტ თერმონდი)
დარბაზი: არენა ინ ოკლენდი

# საკუთარ თავთან მეომარი

**„გოლდენ სტეიტ ვორიორზი“** ძველი კლუბია. „მეომრები“ იმ 11 კლუბს შორის არიან, რომელთაც შორეულ 1946 წელს ნბა (მაშინ ბაა ერქვა) დაუარსებიათ. მაშინ „ვორიორზი“ ფილადელფიაში სახლობდა და ამ ქალაქის სახელითაც გამოდიოდა. იმ პირველი 11 კლუბიდან ნბა-ს „ვორიორზის“ გარდა დღემდე „ბოსტონ სელტიქსი“ და „ნიუ იორკ ნიქსილა“ შემორჩენია. „ბოსტონი“ და „ნიუ იორკი“ დიდი ტრადიციების გუნდები არიან, პირველი 16-ჯერ იყო ჩემპიონი, მეორე — ორჯერ. არც „ვორიორზს“ შეურცხვენია თავი, იგი სამ ტიტულს ფლობს და ამით ამაყობს. ამაზე მეტჯერ მხოლოდ სამი გუნდი — „ბოსტონი“, „ლეიკერსი“ და „ჩიკაგო“ გახდა ჩემპიონი და „მეომრებს“ თითქოს საყვედური არც ეთქმით, მაგრამ...

კარგი, ნბა-ს 29 გუნდს გამოვაკლოთ „ბოსტონი“ და „ლეიკერსი“, დანარჩენებიდან ამოვარჩიოთ ორი ნებისმიერი და ვთქვათ, რომ მათ მთლიანობაში არ ჰყავდათ იმდენი ვარსკვლავი, რამდენიც „ვორიორზს“. 1946 წლიდან დღემდე ამ გუნდში უთამაშია არაერთ მძლავრ კალათბურთელს, რომელთა შესაძლებლობებიც სრულად რომ გამოეყენებინა, „ვორიორზი“ სულ ცოტა სამჯერ მეტ საჩემპიონო ტიტულს დაეპატრონებოდა. იმ უამრავი ვარსკვლავიდან, რომლებიც „მეომრებს“ არასოდეს აკლდათ, სრული უმრავლესობა რამდენიმე წელი ძლებდა ამ გუნდში, მაგრამ თავისი ნებით როდი მიდიოდნენ სხვაგან, როგორც წესი, მათ კლუბი ცვლიდა. რაღა შორს წავიდეთ, ვახსენოთ ლეგენდარული უილტ ჩემბერლენი. მაშინ, 1965 წლის იანვარს, „სან ფრანცისკო ვორიორზად“ წოდებულმა კლუბმა, მრავალთა აზრით, მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი ცენტრი 26 წლის ასაკში გაცვალა. დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, ეს სიმართლეა. ჩემბერლენი მაშინ მატჩში საშუალოდ ლამის 40 ქულას და ოცზე მეტ მოხსნას იხვეჭდა, „მეომართა“ „სარდალთა შტაბმა“ კი ის ისეთ სამ კალათბურთელში გაცვალა, რომლებიც სათადარიგოთა სკამიდან არც ამდგარიყვნენ. ის სეზონი „ვორიორზმა“ 17 მოგებით და 63 წაგებით დაასრულა და ბოლო ადგილზე გავიდა. მსგავსი დაუდევრობის არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება. 1978 წლის დრაფტში „მეომრებმა“ ლარი ბერდს ვინმე პურვის შორტი ამჯობინეს. 1980 წელს „ვორიორზმა“ რობერტ პერიში და კევინ მაკჰეილი „ბოსტონს“ ჯო ბერი კეროლში და კიდევ ერთ უსაქმურში გაუცვალა. „ბოსტონში“ თავმოყრილმა ბერდმა, მაკჰეილმა და პერიშმა უძლიერესი წინა ხაზი შექმნეს და ექვს წელიწადში სამჯერ მოიგეს ნბა-ს ფინალი. სამივე მათგანი შესულია ნბა-ს ყველა დროის 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის. რაც შეეხება „მეომრებს“, ამ გაცვლამ მათ პლეი ოფის რამდენიმე საგზური და დაცინვა არგუნა. 1992 წლიდან დღემდე „მეომრებმა“ სხვა გუნდში გაცვალეს რვა ოლსტარელი მოთამაშე, ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი და ორი დრაფტის პირველი არჩევანი. სანაცვლოდ კი მიიღეს ნაყარნუყარი კალათბურთელები და მყარი ადგილი ცხრილის ფსკერზე. ათ წელიწადში არავის გაუფლანგავს ამდენი ნიჭი. 1988 წლიდან ამ გუნდში მისული ბიჭებით „ვორიორზი“ მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოსაც“ შეეცილებოდა პირველობას (არ ვაჭარბებთ), დღეს ეს მოთამაშეები სხვადასხვა გუნდებში დაფანტულან. „ვორიორზის“ მაგალითზე შეიძლება შესანიშნავად ვისწავლოთ, თუ როგორ არ უნდა წარიმართოს სატრანსფერო პოლიტიკა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, „მეომართა“ 55-წლიანი ისტორია ხომ მცდარი სტრატეგიული ნაბიჯების ჯაჭვია.

„ვორიორზს“ სამ ქალაქში უთამაშია. „მეომრების“ ისტორია ქვეყნის ძველ დედაქალაქ ფილადელფიაში იწყება და ერთობ წარმატებულადაც. „ვორიორზი“ ლიგის პირველი, 1946-47 წლების სეზონის ჩემპიონია. მაშინ „მეომრებს“ ჰყავდათ იმ დროის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი ჯო ფალკსი, პირველი სეზონის ბომბარდირი და, ფაქტობრივად, საუკეთესო მოთამაშე. მისი დახმარებით 1947 წელს „ფილადელფიამ“ ფინალში „ჩიკაგო სტეგზს“ სძლია და პირველად იჩემპიონა. „ვორიორზი“ ერთი წლის შემდეგაც გავიდა ფინალში, მაგრამ იქ მოულოდნელად დებიუტანტ „ბალტიმორ ბულიტსთან“ წააგო, „მეომართა“ უიღბლობასაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქედან დაედო საფუძველი. ჯო ფალკსს უნიჭიერესი თაობა მოჰყვა. ნეილ ჯონსტონი და პოლ არიზინი მძლავრი მექულეები იყვნენ და მათ ჯამში ხუთჯერ მოიპოვეს სეზონის პირველი მექულის წოდება. ამ ორის საგუნდო მონაგარი კი მხოლოდ ერთი — 1956 წელს მოპოვებული ჩემპიონის ტიტულია.

1959 წელს „ვორიორზს“ არნახულად გაუმართლა, დრაფტში ერგო 216-სანტიმეტრიანი და 125-კილოგრამიანი გიგანტი უილტ ჩემბერლენი. ნბა-ს მანამდე მსგავსი არაფერი ენახა. ეს იყო მონსტრი, რომელსაც თავის გზაზე ყველაფრის წალეკვა შეეძლო. ჩემბერლენის ღირსება გაბარიტების გარდა ისიც იყო, რომ თავის უზარმაზარ სხეულს მშვენივრად აკონტროლებდა და სიდიდის კვალობაზე საკმაოდ სწრაფი და მოქნილი გახლდათ. ჩემბერლენმა თავიდანვე დაიპყრო ნბა, პირველივე პროფესიულ სეზონში გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, პირველი მომხსნელი და პირველი მექულე მატჩში საშუალოდ მოგროვილი 38,4 ქულით. იგი კიდევ ექვსი წლის განმავლობაში არავის უთმობდა პირველი ბომბარდირის წოდებას, ამასთან, დიდი უპირატესობით უგებდა ბრძოლას კონკურენტებს. თავის მესამე, 1961-62 წლების სეზონში მისი შედეგიანობა თამაშში საშუალოდ 50 ქულას ასცდა. სწორედ ამ სეზონის ერთ-ერთ მატჩში ჩაუგდო მან 100 ქულა „ნიუ იორკს“. მაგრამ ჩემბერლენი „ვორიორზის“ მაისურით ვერ გახდა ჩემპიონი. კლუბის მამების უთავბოლო სატრანსფერო პოლიტიკის წყალობით იგი, ფაქტობრივად, მარტო ებრძოდა ბილ რასელის და კიდევ არაერთი ვარსკვლავის „ბოსტონს“.

1962 წლის ზაფხულში ფინანსურმა პრობლემებმა „ვორიორზი“ აიძულა, ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში, ფილადელფიიდან სან ფრანცისკოში გადაბარგებულიყო. 1965 წლის ზამთარში კი კლუბის მამებმა კიდევ ერთი მარცხი იგემეს მოედანს გარეთ, ჩემბერლენი ახალ ფილადელფიურ კლუბს, „სიქსერზს“ სამ მოთამაშეში გაუცვალეს, რომელთა სახელები ისტორიამ მხოლოდ ამ გაცვლაში მონაწილეობის გამო შემოინახა. „მეომართა“ გემი იმავე სეზონში ჩაიძირა. „ვორიორზმა“ ამ შეცდომისთვის შურეც აგო პასუხი. 1965 წელს დრაფტში აყვანილი რიკ ბერის წყალობით 1967 წელს ფინალში გასული „სან ფრანცისკო ვორიორზი“ იქ ჩემბერლენის „ფილადელფია სიქსერზს“ გადაეყარა და, რა თქმა უნდა, წააგო.

„მეომართა“ მესამე და საბოლოო ჩემპიონობა რიკ ბერის სახელს უკავშირდება. იგი „ვორიორზში“ 1965 წელს მივიდა და გარკვეულწილად ჩემბერლენი შეცვალა. ეს გახლდათ უნიჭიერესი ბიჭი, რომელსაც დაუდგომელი, მშფოთვარე ხასიათი ხელს უშლიდა, ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ ქცეულიყო. ოკეანგაღმა მასზე ამბობდნენ: „გახადეთ ბერი ქვეყნის პრეზიდენტი და ის ერთ კვირაში მესამე მსოფლიო ომს დაიწყებს“. 1967 წელს ფინალში მარცხის შემდეგ ბერის ნბა-ზე გული აუცრუვდა და ახლად დაარსებულ სხვა ლიგაში, აბა-ში გაიქცა, სადაც ოთხი წელი ყველას სისხლს უშრობდა მოედანზეც და მის გარეთაც.

ბერი 1972 წელს დაუბრუნდა „ვორიორზს“, რომელიც წინა წელს სან ფრანცისკოდან მის თანამგზავრ ქალაქ ოკლენდში გადაბარგებულიყო და უკვე „გოლდენ სტეიტ ვორიორზი“ ეწოდებოდა. 1975 წელს ბერიმ მარტომ აჩემპიონა „მეომრები“. ეს იყო დიდი სასწაული. მანამდე ერთი წლით ადრე „მეომართა“ ხელმძღვანელობამ მორიგი „ბრძნული“ ნაბიჯი გადადგა დ უსუსტეს მოთამაშეებში გაცვალა იმ დროის ზემძლავრი მეფარეები — ნეიტ თერმონდი და ჯონ ლუკასი. „მეომართა“ სარდალმა ელ ეტლისმა მაინც მოახერხა ბერისა და სხვებისგან საშუალო გუნდის გაკეთება და 1975 წელს 48 გამარჯვებით და 34 მარცხით პლეი ოფში მოხვედრა, იქ ფინალშიც გავიდა და ვარსკვლავებით გადაჭედილი „ვაშინგტონ ბულიტსი“ 4:0 გაანადგურა. სიმართლე რომ ითქვას, ეს იყო ყველაზე ღირსშესანიშნავი ეპიზოდი „მეომართა“ 55-წლიან ისტორიაში.

1978-80 წლებში დრაფტებში „ვორიორზმა“, ფაქტობრივად, სამჯერ აჩუქა ჩემპიონობა „ბოსტონს“, თავად კი ათეული წელი სინანულში და იმის მოლოდინში გაატარა, როდის მოუვლენდა განგება ვარსკვლავთკრებულს.

1985 წლიდან „ვორიორზს“ არ მოუსაკლისებია ვარსკვლავები. ჯერ მომავალი, ბარსელონას ოლიმპიადის ჩემპიონი, „დრიმ თიმის“ წევრი კრის მულინი გამოჩნდა, 1988 წელს იმ სეზონის საუკეთესო ახალბედა მიჩ რიჩმონდი შეუერთდა, კიდევ ერთი წლის შემდეგ „მეომრებმა“ კარი გაუღეს ნბა-ში მოხვედრილ პირველ საბჭოთა კალათბურთელს, ლიტველ შარუნას მარჩიულიონისს და მძლავრ გამთამაშებელ ტიმ ჰარდევეის. „მეომართა“ ახალმა დამრიგებელმა, სახელგანთქმულმა დონ ნელსონმა ამ უკანახაზელებისგან შესანიშნავი, ლამაზი თამაშის მიმდევარი გუნდი შექმნა და თან დაიფიცა, მას ცოცხალი თავით არ დავშლიო, მაგრამ ფაქტები ყველაფერზე მეტყველებს. რიჩმონდი უკვე 1992 წელს „საკრამენტოს“ მაისურით თამაშობდა, მოგვიანებით მას მარჩიულიონისიც მიჰყვა, 1995 წელს „მეომრებმა“ ტიმ ჰარდევეი „მაიამის“ აჩუქეს, მარტოდ დარჩენილი კრის მულინი კი ღმერთი არ იყო, თვითონ მოეგო პლეი ოფი. კლუბში მერეც მიდიოდნენ ნიჭიერი ბიჭები, „ვორიორზის“ მამები კი ერთ კარს სიამოვნებით უღებდნენ მათ, ცოტა ხანში კი მეორესკენ მიუთითებდნენ. „ვორიორზში“ 1992 წელს ჩარიცხულმა ლატრელ სპრიუელმა ხუთი წლის შემდეგ მწვრთნელი ფი ჯეი კარლესიმო გალახა და გუნდიდან გააგდეს. 1993 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა კრის ვებერმა (დღეს იგი სუპერვარსკვლავია) აქ მხოლოდ ერთი წელი გაძლო, ასევე დრაფტის, მხოლოდ 1995 წლის პირველი ნომერი ჯო სმიტი კლუბის მამებს ეხვეწა, ნუ გამცვლითო, მაგრამ ორი წლის შემდეგ ისიც სხვა გუნდში აღმოჩნდა. ამ ხალხის სანაცვლოდ „ვორიორზი“ ზოგჯერ კარგ, უფრო ხშირად კი, უხეიროებს იღებდა და კარგებს ისევ ცვლიდა.

ამ დომხალმა თავისი შედეგი მოიტანა — 1994 წლის შემდეგ „ვორიორზს“ პლეი ოფი არ უნახავს. იქიდან მოყოლებული ულირს „მეომრებს“ ნამდვილი ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ აძევებენ.

**ირაკლი ფირცხვილი**



უილტ ჩემბერლენი საუკეთესო ფორმაში იყო, როდესაც „ვორიორზმა“ გაცვალა



რიკ ბერიმ „მეომრები“ 1975 წელს მარტომ აჩემპიონა



არც კრის მულინი შეაბერდა „ვორიორზს“, იგი 1997 წელს „ინდიანაში“ გაუშვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი
## სპორტული ლატარია
## კროკო

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-3 ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | მიუნხენი-ჰამბურგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 003 | კოტბუსი-ნიურნბერგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 004 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 006 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| 18.30 | 007 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 008 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | ზანქტ პაული-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 010 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-3 ტური**

**10 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | დუისბურგი-როიტლინგენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 012 | არმინია-ვალდჰოფი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 013 | ბოხუმი-მაინცი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ალემანია-ობერჰაუზენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 015 | უნიონი-ალენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | უნტერჰახინგი-ჰანოვერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-ბაბელსბერგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 018 | აინტრახტი-შვაინფურტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 019 | აინტრახტი-შვაინფურტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**13 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 021 | კარლსრუე-ზაარბრიუკენი | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.). მე-3 ტური**

**10 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 022 | პადერბორნი-ურდინგენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.30 | 023 | კილი-მაგდებურგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 024 | ფორტუნა-ქემნიცი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 17.00 | 025 | აუე-ესენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.00 | 026 | მიუნსტერი-ოსნაბრიუკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 027 | დიუსელდორფი-დრეზდენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 028 | ვერდერი(მ)-ლიუბეკი | 3,6 | 3,1 | 1,9 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.). მე-3 ტური**

**10 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 029 | ბურგჰაუზენი-ერფურტი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.30 | 030 | ელვერსბერგი-ფულდა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 21.30 | 031 | შტუტგარტი(მ)-ზიგენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.15 | 032 | დარმშტადი-ბაიერნი(მ) | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.30 | 033 | მანჰაიმი-ოფენბახი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 034 | ვეჰენი-ჰოფენჰაიმი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.30 | 035 | ანსბახი-კიკერსი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 18.00 | 036 | ტრირი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 18.00 | 037 | აალენი-რეგენსბურგი | 1,7 | 3,4 | 4,0 |

**ინგლისი. I დივიზიონი. 1-ლი ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 038 | ბრედფორდი-ბარნსლი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 039 | ჯილინგემი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | გრიმსბი-ქრიუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 041 | მილუოლი-ნორვიჩი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 042 | ნოტინგემი-შეფილდი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 043 | როტერჰემი-კრისტალ პალასი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 044 | სტოკპორტი-ქოვენთრი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 19.00 | 045 | უოლსოლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 046 | უიმბლდონი-ბირმინგემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 047 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.15 | 048 | სიტი-უოტფორდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 049 | უენსდი-ბარნლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**ინგლისი. II დივიზიონი. 1-ლი ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 050 | ბლეკპული-რედინგი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 051 | კემბრიჯი-ბრაიტონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 052 | კარდიფი-უიკომბი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 053 | ჩესტერფილდი-კოლჩესტერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 054 | ჰადერსფილდი-ბორნმუთი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 055 | ნორთჰემპტონი-ბრისტოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 056 | პორტ ვეილი-ნოტსი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 057 | ქუინზ პარკი-სტოკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 058 | სუინდონი-პიტერბრო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 059 | ტრანმერი-ბერი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 060 | უიგანი-ბრენტფორდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 061 | რექსემი-ოლდემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**ინგლისი. III დივიზიონი. 1-ლი ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 062 | როვერსი-ტორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 063 | კარლაილი-ლუტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 064 | ჩელტენემი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 065 | ექსეტერი-ჰალი | 2,5 | 3,5 | 2,4 |
| 19.00 | 066 | ჰარტლპული-მენსფილდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 067 | კიდერმინსტერი-სკანთორპი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 068 | ლინკოლნი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 069 | მაკლსფილდი-სუონსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 070 | ოქსფორდი-როჩდეილი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 071 | პლიმუთი-შრიუსბერი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 072 | საუთენდი-დარლინგტონი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 073 | იორკი-რაშდენი | 2,2 | 3,3 | 2,8 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-3 ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 074 | რენი-მონაკო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 075 | ტრუა-ნანტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 076 | სედანი-გენგამი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 077 | პსჟ-სოშო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 078 | მონპელიე-მეცი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 079 | ლანსი-მარსელი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 080 | ბორდო-ლილი | 1,65 | 3,0 | 5,6 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 081 | ლორიანი-ოსერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 082 | ბასტია-ლიონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-3 ტური**

**10 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 083 | ლე ავრი-ნანსი | 1,85 | 2,9 | 4,2 |

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 083 | ვასკეალი-კრეტეი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 084 | მარტიგი-ბოვე | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 085 | სენტ ეტიენი-ლე მანი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 086 | ნიცა-ნიმი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 087 | ლავალი-ნიორი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 088 | ისტრი-სტრასბური | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 23.00 | 089 | გენიონი-შატორუ | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 090 | ამიენი-გრენობლი | 1,95 | 2,8 | 4,0 |
| 23.00 | 091 | აიაჩო-კაენი | 1,75 | 2,9 | 4,7 |

**პორტუგალია. I ლიგა. 1-ლი ტური**

**10 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 092 | ბოავიშტა-ბეირა მარი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 093 | ბოავიშტა-ბეირა მარი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 094 | ბრაგა-ლეირია | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 01.00 | 095 | ვარზიმი-ბენფიკა | 3,8 | 3,2 | 1,8 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 096 | სალგეირუში-ფარენსე | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 21.00 | 097 | ფერეირა-ბელენენსეში | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 098 | სპორტინგი-პორტუ | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 01.00 | 099 | გიმარაეში-ჟილ ვისენტე | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**13 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 100 | მარიტიმუ-სეტუბალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**პორტუგალია. II ლიგა. 1-ლი ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 101 | შავეში-ოლივეირენსე | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 102 | რიუ ავე-მაია | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 20.00 | 103 | ამადორა ლეცა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 104 | ნასიონალი-ნავალი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 105 | ავეში-ოვარენსე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 106 | ესპინიუ-მარტიმონენსე | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 107 | ლამაში-კამპომაიორენსე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 01.00 | 108 | აკადემიკა-პენაფიელი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**ბელგია. I დივიზიონი. 1-ლი ტური**

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 110 | ანდერლეხტი-ანტვერპენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 111 | ანდერლეხტი-ანტვერპენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 112 | გენკი-ბევერენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 113 | ლერსი-ლოკერენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.00 | 114 | გენტი-სენტ ტრუიდენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 115 | ლომელი-მოლენბეკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 23.00 | 116 | ბეერსხოტი-ლუვიე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 117 | შარლერუა-სტანდარდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 118 | ბრიუგე-ვესტერლო | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 119 | ბრიუგე-ვესტერლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 120 | აალსტი-მუსკრონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ჩეხეთი. მე-3 ტური**

**10 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 121 | სპარტა-ლიბერეცი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 122 | სპარტა-ლიბერეცი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**11 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 123 | სლავია-ჰრადეც კრალოვე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 124 | სლავია-ჰრადეც კრალოვე 0:1 | 1,35 | 3,8 | 4,0 |

**12 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 125 | ბანიკი-იაბლონეცი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 126 | ტეპლიცე-დრნოვიცე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 127 | ბრნო-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 128 | ბოჰემიანსი-სიგმა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 129 | სინოტი-პრჟიბრამი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 130 | ბლშანი-ოპავა | 1,6 | 3,4 | 5,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **პოლონეთი. მე-4 ტური. A ჯგუფი** | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 131 | კატოვიცე-ზაგლებე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | **11 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 132 | ოდრა-ვიძევი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.15 | 133 | გურნიკი-ვისლა | 3,5 | 3,1 | 1,95 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 134 | ოსტროვეცი-პოლონია | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| | | **პოლონეთი. მე-4 ტური. B ჯგუფი** | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 135 | რადომსკო-რუხი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 136 | სტომილი-პოგონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 137 | ლეგია-გროცლინი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 138 | ლეგია-გროცლინი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| 20.00 | 139 | შლიონსკი-ამიცა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **თურქეთი. 1-ლი ტური** | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 140 | ბეშიქთაში-ტრაბზონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **11 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 141 | გიოზთეფე-ბურსა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 142 | გენჩლერბირლიგი-დიარბაქი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 21.00 | 143 | ფენერბაჩე-სამსუნი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 144 | ფენერბაჩე-სამსუნი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 21.00 | 145 | რიზე-ქოჯაელი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 146 | ისთანბული-მალათია | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 21.00 | 147 | ანთალია-ანკარაგიუჯიუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 148 | დენიზლი-იოზგათი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 149 | გაზიანთეფი-გალათასარაი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **შვედეთი. მე-17 ტური** | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 204 | ჰეკენი-გიოტებორგი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 22.00 | 205 | ჰამარბი-იურგორდენი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| | | **ფინეთი** | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 219 | როვანიემი-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 2,9 |
| | | **ინგლისი. სუპერთასი (კარდიფში)** | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 225 | მანჩესტერი-ლივერპული | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **ჰოლანდია. სუპერთასი (ამსერდამში)** | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 242 | პსვ-ტვენტე | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| | | **პოლონეთი. ლიგის თასის III ეტაპი. I მატჩები** | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 249 | ოდრა-ვიძევი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 250 | სტომილი-გროცლინი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. I მატჩები** | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 503 | ვისლა-ბარსელონა | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 21.15 | 504 | კოპენჰაგენი-ლაციო | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 22.00 | 505 | ჰაკა-ლივერპული | 5,3 | 3,5 | 1,55 |
| 22.00 | 506 | ინტერი (სლკ.)-რუსენბორგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.30 | 507 | ჰალმსტადი-ანდერლეხტი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.45 | 508 | გალათასარაი-ლევსკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 509 | სლავია-პანათინაიკოსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 510 | სტიაუა-დინამო(კ) | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.15 | 511 | ჰაიდუკი-მალიორკა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 512 | აიაქსი-სელტიკი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 23.30 | 513 | ცრვენა ზვეზდა-ლევერკუზენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 514 | რეინჯერსი-ფენერბაჩე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 24.00 | 515 | პარმა-ლილი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 01.00 | 516 | პორტუ-გრასჰოპერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | | **უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები** | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 517 | ნეფტჩი-გორიცა | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.30 | 518 | პუხოვი-სლიმა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 19.30 | 519 | რუზომბეროკი-ბელშინა | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 520 | პოლონია-ტნს | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 20.00 | 521 | დინამო (თბ)-ბატე | ანგარიში - 5,0 | | |
| 20.00 | 522 | დინამო (ბუქ)-დინამო (ტირ) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 523 | ცსკა (კიევი)-იოკერიტი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 524 | ბრაშოვი-აშტარაკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 20.00 | 525 | არარატი-ჰაპოელი (თ-ა) | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 20.30 | 526 | ობილიჩი-გოტუ | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| 20.30 | 527 | პელისტერი-სენტ გალენი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.00 | 528 | დინაბურგი-ოსიეკი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 529 | ტრანს ნარვა-ელფსბორგი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 21.00 | 530 | შახტიორი(ბელარ)-ცსკა(სოფ) | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| 21.00 | 531 | ტირანა-აპოლონი (კვიპ) | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 532 | ჰიკ-ვენტსპილსი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 533 | ატლანტასი-რაპიდი (ბუქ) | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 21.30 | 534 | მიდტიულანდი-გლენტორანი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 22.00 | 535 | ვიკინგი-ბროტნიო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 536 | ოლიმპიაკოსი(კვიპ)-დუნაფერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 537 | მიუპა-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 538 | მაკაბი(თ-ა)-ქალგირისი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 22.00 | 539 | ეტელბრიუკი-ლეგია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 22.30 | 540 | ბირკირკარა-ლოკომოტივი(თბ) | ანგარიში - 5,0 | | |
| 22.30 | 541 | ვადუცი-ვარტექსი | 5,0 | 3,8 | 1,4 |
| 22.30 | 542 | ტორსჰაგენი-გრაცერი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 22.30 | 543 | ზიმბრუ-გაზიანთეფი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 23.15 | 544 | ბრიუგე-აკრანესი | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| 23.15 | 545 | ვარდარი-სტანდარდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.15 | 546 | ოლიმპია-შაფა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.15 | 547 | დინამო (ზაგ)-ფლორა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.15 | 548 | დებრეცენი-ნისტრუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 23.30 | 549 | აეკ-გრევენმახერი | 1,02 | 9,0 | 18,0 |
| 23.30 | 550 | ბრიონდბიუ-შელბურნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.30 | 551 | კოსმოსი-რაპიდი (ვენა) | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 23.30 | 552 | ლონგფორდი-ლიტექსი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 23.30 | 553 | სტ.კოლომა-პარტიზანი (იუგ) | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 23.45 | 554 | გლენავონი-კილმარნოკი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 24.00 | 555 | ფილკირი-პოგონი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 24.00 | 556 | ქუიმბრანი-სლოვანი | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| 01.00 | 557 | მარიტიმუ-სარაევო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | **კოპა მერკოსური** | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | |
| 05.10 | 562 | სან ლორენსო-ნასიონალი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | | **კოპა მერკონორტე** | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | |
| 02.00 | 563 | ლაგუნა-ვიზარდსი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 05.00 | 564 | მეტროსტარსი-იტალჩაკაო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | **9 აგვისტო** | | | |
| 05.00 | 565 | ატ.ნასიონალი-უნივერსიტარიო1,4 | 3,6 | 6,5 | |
| 07.10 | 566 | გვადალახარა-მილიონარიოსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | **შემდეგ ეტაპზე გასვლა** | |
| | | **8 აგვისტო** | |
| 21.00 | 603 | ვისლა-ბარსელონა | 10,0-1,02 |
| 21.15 | 604 | კოპენჰაგენი-ლაციო | 10,0-1,02 |
| 22.00 | 605 | ჰაკა-ლივერპული | 15,0-1,01 |
| 22.00 | 606 | ინტერი (სლკ.)-რუსენბორგი | 2,1-1,45 |
| 22.30 | 607 | ჰალმსტადი-ანდერლეხტი | 4,0-1,15 |
| 22.45 | 608 | გალათასარაი-ლევსკი | 1,07-6,0 |
| 23.00 | 609 | სლავია-პანათინაიკოსი | 2,1-1,45 |
| 23.00 | 610 | სტიაუა-დინამო(კ) | 2,5-1,35 |
| 23.15 | 611 | ჰაიდუკი-მალიორკა | 5,0-1,1 |
| 23.30 | 612 | აიაქსი-სელტიკი | 1,65-1,75 |
| 23.30 | 613 | ცრვენა ზვეზდა-ლევერკუზენი | 5,0-1,1 |
| 23.45 | 614 | რეინჯერსი-ფენერბაჩე | 1,55-1,9 |
| 24.00 | 615 | პარმა-ლილი | 1,15-4,0 |
| 01.00 | 616 | პორტუ-გრასჰოპერი | 1,15-4,0 |
| | | **9 აგვისტო** | |
| 19.00 | 617 | ნეფტჩი-გორიცა | 6,0-1,07 |
| 19.30 | 618 | პუხოვი-სლიმა | 1,05-7,5 |
| 19.30 | 619 | რუზომბეროკი-ბელშინა | 1,45-2,1 |
| 20.00 | 622 | დინამო (ბუქ)-დინამო (ტირ) | 1,05-7,5 |
| 20.00 | 623 | ცსკა (კიევი)-იოკერიტი | 1,3-2,8 |
| 20.00 | 624 | ბრაშოვი-აშტარაკი | 1,05-7,5 |
| 20.00 | 625 | არარატი-ჰაპოელი (თ-ა) | 6,0-1,07 |
| 20.30 | 627 | პელისტერი-სენტ გალენი | 5,0-1,1 |
| 21.00 | 628 | დინაბურგი-ოსიეკი | 6,0-1,07 |
| 21.00 | 629 | ტრანს ნარვა-ელფსბორგი | 6,0-1,07 |
| 21.00 | 630 | შახტიორი(ბელარ)-ცსკა(სოფ) | 5,0-1,1 |
| 21.00 | 631 | ტირანა-აპოლონი (კვიპ) | 2,0-1,5 |
| 21.00 | 632 | ჰიკ-ვენტსპილსი | 1,2-3,5 |
| 21.00 | 633 | ატლანტასი-რაპიდი (ბუქ) | 7,5-1,05 |
| 21.30 | 634 | მიდტიულანდი-გლენტორანი | 1,07-5,0 |
| 22.00 | 635 | ვიკინგი-ბროტნიო | 1,1-4,0 |
| 22.00 | 636 | ოლიმპიაკოსი(კვიპ)-დუნაფერი | 3,5-1,15 |
| 22.00 | 637 | მიუპა-ჰელსინგბორგი | 4,0-1,1 |
| 22.00 | 638 | მაკაბი(თ-ა)-ქალგირისი | 1,2-3,5 |
| 22.30 | 643 | ზიმბრუ-გაზიანთეფი | 5,0-1,1 |
| 23.15 | 645 | ვარდარი-სტანდარდი | 7,5-1,05 |
| 23.15 | 648 | დებრეცენი-ნისტრუ | 1,25-3,1 |
| 23.30 | 650 | ბრიონდბიუ-შელბურნი | 1,05-7,5 |
| 23.30 | 652 | ლონგფორდი-ლიტექსი | 6,0-1,05 |
| 23.45 | 654 | გლენავონი-კილმარნოკი | 6,0-1,05 |
| 24.00 | 655 | ფილკირი-პოგონი | 5,0-1,1 |
| 01.00 | 657 | მარიტიმუ-სარაევო | 1,05-5,0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **ტურში გატანილი გოლები** | | |
| | | | **11 აგვისტო** | |
| 18.30 | 701 | გერმანია (მე-3) | 24 და ნაკლები - 1,9; | 26 და მეტი - 1,9 |
| | | | **11 აგვისტო** | |
| 20.15 | 702 | საფრანგეთი (მე-3) | 22 და ნაკლები - 1,9; | 24 და მეტი - 1,9 |
| | | | **11 აგვისტო** | |
| 23.00 | 704 | ბელგია (1-ლი) | 26 და ნაკლები - 1,9; | 28 და მეტი - 1,9 |
| | | | **10 აგვისტო** | |
| 19.30 | 705 | ჩეხეთი (მე-3) | 19 და ნაკლები - 1,9; | 21 და მეტი - 1,9 |
| | | | **10 აგვისტო** | |
| 20.00 | 706 | პოლონეთი (მე-4) | 19 და ნაკლები - 1,9; | 21 და მეტი - 1,9 |
| | | | **10 აგვისტო** | |
| 22.00 | 707 | თურქეთი (1-ლი) | 23 და ნაკლები - 1,9; | 25 და მეტი - 1,9 |
| | | | **11 აგვისტო** | |
| 16.00 | 708 | რუსეთი (21-ე) | 18 და ნაკლები - 1,9; | 20 და მეტი - 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# გურჯაანში

**გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო. მისამართი: დავით გურამიშვილის ქუჩა №28**

**1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეები: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაფერში პროფესორი ვერ იქნები

## ალენ პროსტი დინიცების ყბაში ჩავარდა

**გერმანიის** დიდი პრიზის წინ ყველას ჯორდან-ფრენცენის კონფლიქტი ეკერა პირზე. შემდეგ ეს გასული თვის მთავარი სენსაცია გახდა — ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი „ჯორდანიდან“ სკანდალურად გააგდეს. მკაცრი და ემოციური ედი ჯორდანი გერმანიის დიდი პრიზის გასრულებას არ დაელოდა და მრბოლი უმუშევარი დატოვა.

გერმანიის დიდი პრიზიც დასრულდა და უსწრაფესი მანქანების სამყაროში სამი კვირით სიმშვიდემ დაისადგურა. ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის მომდევნო ეტაპი 19 აგვისტოს უნგრეთში გაიმართება, თუმც ახლა ალაპარაკდნენ სულ სხვა სკანდალზე, რომელმაც უკვე ყველას დაავიწყა ჯორდან-ფრენცენის კონფლიქტი.

ახლახან გერმანულმა ავტოჟურნალმა „AVTOSPORT“-მა სენსაციური მასალები გამოაქვეყნა. გერმანელთა ინფორმაციით, წარსულში სახელგანთქმული პილოტი ალენ პროსტი, დღეს კი ფორმულა-1-ის გუნდ „პროსტის“ შეფი, გაკოტრების პირასაა. გუნდიდან გამოჟონილი ხმების თანახმად, „პროსტის“ მეხუთე სეზონი ფორმულა 1-ში უკანასკნელი იქნება. ფინანსური კრიზისის გამო „პროსტმა“ რამდენიმე ტესტი გამოტოვა. გარდა ამისა, ფრანგულ საჯინიბოს იტალიური ავტოგიგანტის „ფერარის“ დიდი ვალი მართებს — თვრამეტი მილიონი დოლარი და ბოლო ორი თვეა, თავისი პირველი პილოტისთვის ჟან ალეზისთვის გასამრჯელო არ გადაუხდია.


ალენ პროსტი

მრბოლი ალენ პროსტი მენეჯერად ოთხი წლის წინ გარდაიქმნა, როდესაც „ეროუზის“ ღლევანდელი მეპატრონის, ტომ უოკინშოუსგან „ლიჟიეს“ საკონტროლო პაკეტი შეიძინა. პირველი, რაც პროსტმა გააკეთა, „ლიჟიეს“ სახელი შეუცვალა, რითაც „ლიჟიეს“ ოცწლიან ისტორიას წერტილი დაუსვა. „ლიჟიე“ 1976 წელს ცნობილმა მორაგბემ და ავტორბოლაზე ფანატიკურად შეყვარებულმა ბიზნესმენმა, გი ლიჟიემ დააარსა. მაგრამ პროსტისთვის, როგორც ჩანს, ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და მან გუნდი თავისი გვარით მონათლა, იმ იმედით, რომ ამგვარი ჟესტით გუნდს ახალ სიცოცხლეს შთაბერავდა, ისევე მოსილს დიდებით, როგორიც მისი კარიერა იყო.

ახალშექმნილი ფრანგული გუნდისთვის პირველივე სეზონი რეკორდულად შედეგიანი გამოდგა. გამოცდილი, მაგრამ გამარჯვებებს მოწყურებული ფრანგი ოლივიე პანი და იტალიელი იარნო ტრული მთელი სეზონის მანძილზე სტაბილურად დააქროლებდნენ ბოლიდებს და თავიანთი აგრესიული, უშიშარი და ეფექტური რბოლით ყურადღებას იპყრობდნენ.

1997 წლის სეზონი „პროსტმა“ კონსტრუქტორთა თასზე დებიუტანტისთვის საარაკო 21 ქულით და საერთო ჩათვლაში მეექვსე ადგილზე დაასრულა.

ფრანგი პროფესორის დებიუტი შედეგიანი გამოდგა და გაჩნდა იმედი, რომ „პროსტს“ ნათელი მომავალი ელოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ „პროსტმა“ შეძლო თავისი პილოტების შენარჩუნება და ძრავის საქმეში თანამშრომლობაზე „პეჟო“ დაიყოლია, მომდევნო სამმა მსოფლიოს ჩემპიონატმა ალენ პროსტს იმედგაცრუება მოუტანა. მისმა გუნდმა ამ ხნის განმავლობაში ერთად აღებული იმაზე ნაკლები ქულა დააგროვა, რაც სადებიუტო 1997 წლის სეზონში. შარშანდელი კოშმარის დავიწყება კი ალენმა დღემდე ვერ შეძლო: მისმა პილოტებმა ჟან ალეზიმ და ნიკ ჰაიდფელდმა ქულაც კი ვერ შემატეს გუნდის ყულაბას. „პროსტი“ ყველასგან ჩაგრულ უმწეო ბავშვს დაემსგავსა და საბოლოოდ სამარცხვინო, ბოლო, მეთერთმეტე ადგილი დაიკავა კონსტრუქტორების თასზე.

მიმდინარე სეზონის წინ ალენ პროსტმა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად გამოსავლის ძიება დაიწყო. ფრანგულ საჯინიბოს მშველელად ბრაზილიიდან დინიცების მდიდარი საგვარეულო კლანი მოევლინა. თუმც ეს ერთი შეხედვით. პროსტმა საქმე დინიცების ერთ-ერთ ოჯახთან დაიჭირა, რომლის მემკვიდრეც, პედრო-პაულუ დენიცი ბევრს ეცადა, „პროსტის“ ბოლიდის საჭეს მისჯდომოდა, ბოლო მომენტში კი მენეჯერის სავარძელში მოკალათდა. ინვესტიციების მოზიდვის შემდეგ პროსტი ფორმულა 1-ის ბობოლას, „ფერარის“ გაურიგდა და კონტრაქტი გააფორმა იტალიური ფირმის პრეზიდენტ ლუკა დე მონტემძემოლოსთან. „ფერარი“ „პროსტის“ ძრავებით მომარაგებას კისრულობდა. იმ ძრავებით, რომელთა წყალობითაც მიხაელ შუმახერი შარშან მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა.

ასე მიეცა პროსტს შანსი, შერყეული რეპუტაცია აღედგინა და უიმედო აუტსაიდერის სახელი ჩამოეშორებინა. მაგრამ „პროსტის“ პილოტებმა, ალეზიმ და ბერტიმ, ვერაფრით დააღწიეს თავი უიღბლობას და „ფერარის“ მძლავრი ძრავები ფუჭად ამუშავეს. შედეგად „პროსტი“ თვით „ფერარის“, „ბენეტონის“, „მაკლარენის“, „BAR“-ის ჩრდილში მოექცა და გაცემული ავანსები ვერ გაამართლა.

ყველაფერმა ამან გუნდის ფინანსებზე დიდი გავლენა მოახდინა. „პროსტის“ აქციების ფასი დაეცა და სალაროც თვალსა და ხელს შუა დაცარიელდა. „ფერარიმ“ კი ძრავების ჯერაც გადაუხდელი ვალი მოითხოვა, რომლის ვადა მალე იწურება. ალენ პროსტი ახლა ყველანაირად ცდილობს, ფინანსები მოიზიდოს, დრო კი არ ითმენს. თუ ფრანგულმა საჯინიბომ ვალი დროულად ვერ დაფარა, ყველაზე რეალურ გამოსავალს „ფერარი“ „პროსტის“ ქონების კონფისკაციაში ხედავს, რაც ალბათ ბელგიის დიდი-პრიზის წინ მოხდება. მაგრამ არის კიდევ გზა. არ არის გამორიცხული, ის კი არა, სიმართლესთან უფრო ახლოსაა, რომ „პროსტის“ აქციების ორმოცი პროცენტის მფლობელმა დინიცების ოჯახმა ალენ პროსტი აიძულოს, დათმოს მისი კუთვნილი აქციების სამოცი პროცენტი, რითაც მთლიანად მოიპოვებს გუნდის საკონტროლო პაკეტს. მაგრამ ეს არ უნდა აძლევდეს ხელს თვითონ ალენს. ამ შემთხვევაში „პროსტის“ მეპატრონე გუნდზე კონტროლს დაკარგავს და „ფრანგული ოცნებიდან“ ოდენ მოგონებები დარჩება. დინიცების ოჯახს პროსტის საქმიდან ჩამოშორება განუზრახავს და ალენს ოდენ უბრალო ტოპ-მენეჯერის ადგილს სთავაზობს, რაც თავმოყვარე და ამბიციურ ფრანგ ექს-პილოტს არ უნდა აკმაყოფილებდეს.

თითქოს ეს არ ეყოფოდა პროსტს, რომ ამ ორომტრიალში თავი ჟან ალეზიმაც წამოყო. მას თავისი ორი თვის აუღებელი ჯამაგირი აღარდებს. განაცხადა თუ არა ეს ალეზიმ, პრესამ იგი უკვე „ჯორდანში“ „გადაიყვანა“ და ჰარალდ ფრენცენის შემცვლელად მონათლა. თავად მრბოლი კომენტარისაგან თავს იკავებს. სამაგიეროდ, ალეზის მენეჯერმა მარიო მიიაკავამ დაადასტურა, რომ იგი მოლაპარაკებებს აწარმოებს „ჯორდანთან“. „ეს სიმართლეა, ჩემს აგენტს „პროსტის“ დატოვება სურს და ჩვენ ძალიან გვინდა, შექმნილ მდგომარეობას თავი დავაღწიოთ. ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. ჩვენ ერთობ დელიკატურ სიტუაციაში ვიმყოფებით. ერთს არ დაგიმალავთ — ალეზის თავის გუნდში ხილვა ჯორდანს სურს“.

ვირჟინ პაპენი, „პროსტის“ პრესმდივანი: „ჟანი და ალენი ცდილობენ, რომ შეთანხმდნენ, მაგრამ ჟანი წასვლას არ იშლის. ჩვენ არ ვიცით, რას აპირებს ალენი, თუ იგი ვერ შეძლებს, ალეზი დააკავოს“.

და როგორ გგონიათ, რას ფიქრობს ამ დროს დინიცების ოჯახი? პასუხი მარტივია — ჟან ალეზის ადგილს რომელიმე ბრაზილიელი პილოტი დაიკავებს. სავარაუდოდ, ეს პედრო-პაულუ დინიცი იქნება. ეს თუ მოხდა, პედრო-პაულუ დიდი ხნის ოცნებას აისრულებს და მომავალი სეზონიდან „პროსტის“ ბოლიდს აჯირითებს მსოფლიოს ტრასებზე.

**ბაჩო სვანიძე**



# ფრანგი ქალის საყვარელი

**ფრანგული** გუნდი „ფრანსეზ დე ჟე“, ანუ შემოკლებით „ფრანსეზი“, 1997 წელს ჩამოყალიბდა საფრანგეთის ეროვნული ლოტოს ხელშეწყობით. მისი წევრების ანგარიშზე რამდენიმე პრესტიჟული მრავალდღიანის, მათ შორის „ტურის“, რამდენიმე ეტაპია. ესაა და ეს, რომ იტყვიან, ბევრიც არაფერი.

ახლა კი გუნდი ფინანსური პრობლემების წინაშეც დადგა და თვითგადარჩენისთვის დაიწყო ბრძოლა. თავიდან ამბობდნენ, იგი მეორე ფრანგულ გუნდ „ბიგმატ ობერს“ შეუერთდებაო, მაგრამ ასე არ მოხდა. „ფრანგმა ქალმა“ („ფრანსეზი“ ქართულად ასე ითარგმნება) ამის მერე გარე-გარე დაიწყო ყურება და მალე უცხოელი საქმროც იშოვა.

წლევანდელი სეზონის დასაწყისში „ტურის“ სამგზის ჩემპიონი, ამერიკელი გრეგ ლემონდი სამშობლოში მიდგამოდგა და ცნობილ საავტომობილო ფირმა „მერკურის“ სპონსორობით მისივე სახელწოდების გუნდი ჩამოაყალიბა. თუმცა ამერიკელებისთვის ველოსპორტში მხოლოდ „ტურს“ აქვს მნიშვნელობა და რადგან „მერკური“ წლეულსვე საფრანგეთში არ მიიწვიეს, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხულიც იყო, მის სპონსორებს ველოსპორტზე მალევე აცრუებიათ გული.

ასე რომ, ორი გაჭირვებული ერთმანეთს გადაეყარა და შეუღლებაც გადაწყდა. „ფორდის“ ფილიალი და ფრანგული ლოტო — ურიგო წყვილი ნამდვილად არაა.

ორი გუნდის სპორტულ დირექტორებს ერთმანეთისთვის თვალი ჯერ კიდევ აპრილში დაუდგამთ, მაგრამ მაშინ მსუბუქი ფლირტით შემოიფარგლნენ. სი[illegible] რამდენიმე დღის წინ აუხსნეს ერთმანეთს. ფრანგი მარკ მადიო ამერიკელ ჯონ უორდინს პარიზის ერთ-ერთ რესტორანში შეხვდა და შეთანხმებაც შედგა, რომელსაც ხელი ორიოდ დღის შემდეგ მოაწერეს.

ახალი გუნდის ბიუჯეტი, რომლის სახელიც ჯერჯერობით მაინც უცნობია, არ დაუზუსტებიათ. იმას კი ამბობენ, „მზითევი“ დაახლოებით 35 მილიონი ფრანგული ფრანკი იქნება, რაც მადიოსა და უორდინს საშუალებას მისცემს თავიანთი საუკეთესო მრბოლები შეინარჩუნონო. „ფრანსეზი“ „ტურის“ ერთ-ერთ აღმოჩენას, ავსტრალიელ ბრედლი მაკგის, ახალგაზრდა სანდი კაზარს, „ტურზე“ დაშავებულ შვეიცარიელ მთიელ სვენ მონტგომერის და სპრინტერ ჯიმი კასპერს არ შეელევა. „მერკურისთვის“ კი ავსტრალიელი ბეიდენ კუკი, ჰოლანდიის ყოფილი ჩემპიონი ლეონ ვან ბონი და მისი უფრო ძლიერი თანამემამულე პეტერ ვან პეტეგემი არიან სასურველნი.

„ეს შეთანხმება მომავლის იმედით მავსებს. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი კარგი მრბოლის აყვანას შევძლებთ და მომავალ სეზონში დიდი ძალაც ვიქნებით. რაც შეეხება ფუნქციების განაწილებას ჩემსა და ჯონ უორდინს შორის, ჯერჯერობით ყველაფერი ბოლომდე გარკვეული არ არის. მე მგონი, იგი ამერიკულ ტურნირებზე იქნება მთავარი, მე კი — ევროპულებზე“ — განაცხადა მარკ მადიომ.

# ვირანკმა ჯერ გულები მოიგო

**13 აგვისტომდე** დისკვალიფიცირებულ რიშარ ვირანკმა, როგორც იქნა, იპოვა ახალი გუნდი. „ფესტინას“ საქმის“ ერთ-ერთმა მთავარმა პერსონაჟმა ბელგიურ „დომოსთან“ მოაწერა კონტრაქტს ხელი და სამთვენახევრის მანძილზე მისი მაისურით ირბოლებს. ხოლო თუ ახალ დამქირავებლებს თავსაც მოაწონებს, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის საუკეთესო მთიელმა შეიძლება კარიერის დომოური პერიოდი კიდევ გაიხანგრძლივოს.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ათთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ რბოლებზე დაბრუნების საშუალება მომეცა. თავს არ დავზოგავ ამ ნდობის გასამართლებლად“ — თქვა ვირანკმა პრესკონფერენციაზე.

31 წლის მრბოლი შეჯიბრებებიდან 1998 წლის „ტურზე“ დოპინგის მიღების აღიარების გამო წლეულს მოკვეთეს. ასე გვიან კი იმიტომ, რომ მას გულახდილობამ ოდენ შარშან შემოდგომაზე, „ფესტინას“ სასამართლო პროცესზე „შემოუტია“.

მისი თანაგუნდელები „დომოში“ ბელგიელი იოჰან მუსეუვი და ლეგენდარული ედი მერქსის ვაჟი აქსელი იქნებიან. ცნობილთაგან აქაა ლატვიელი სპრინტერი და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი რომანს ვაინსტეინსიც. ვირანკისთვის მთავარი მომავალ „ვუელტაზე“ გამოსვლაა. ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა მისმა ახალმა სპორტულმა დირექტორმა პატრიკ ლეფევრმა, რომელმაც დაამატა, რიშარმა ჩვენი გული ორიოდ საუბრის შემდეგ მოიგოო. საინტერესოა, ასევე მალე იმარჯვებს ფრანგი რბოლებისასაც თუ ვერა.

ვირანკი ველოსპორტს ოფიციალურად „ბურგოსის ტურზე“ დაუბრუნდება. იგი შემდეგ ერთი—ორ პატარა შეჯიბრში გამოვა და „ვუელტას“ დროც დადგება. მერე პორტუგალიაში დანიშნულ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის იმედიც აქვს ნეოდომოელს. თუმცა საკითხავი ისაა, მოხვდება თუ არა იგი საფრანგეთის ნაკრებში.

**გაგი გურული**


რიშარ ვირანკმა წლევანდელ „ტურზე“ შარშანდელივით ავტოგრაფები ველარ არიგა

# ჰაკინენმა წასვლა-დარჩენაზე მიკიბ-მოკიბა

## ჩვენ რას გავიგებთ, მიკას საქმე მიკამ იცის

**ჯერ** კიდევ წლევანდელი სეზონის წინ დაირხა ხმები ფინელი მრბოლის მიკა ჰაკინენის ფორმულა 1-დან წასვლის თაობაზე. ბევრის აზრით, 31 წლის ფინელი ერთობ გადაღალა ცხოვრების დაძაბულმა რიტმმა და ფორმულის ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი სიამოვნებით გაცვლიდა 800-ცხენისძალიანი ბოლიდს რომელიმე მსუბუქი ავტოს საჭეზე. მიუხედავად იმისა, რომ თავად პილოტი და „მაკლარენი“ უარყოფდნენ, პრესა დაჟინებით ირწმუნებოდა, ფინელი პენსიაზე გადისო. ამ დღეებში თავად მიკა ჰაკინენი წარუდგა ჟურნალისტებს, მაგრამ თავისი ორაზროვანი განცხადებით მედიის ცნობისმოყვარეობა მაინც ვერ დააკმაყოფილა: „მე მგონი, ფორმულის ყველა პილოტი ყოველ წელს აპირებს წასვლას. ფორმულა 1 არის რბოლა, რომელშიც ხან მარცხდები, ხანაც იმარჯვებ. ზოგჯერ ისე იქანცები, რომ ფიქრობ, საკმარისად ბევრი ვიმოგზაურე, ბევრიც ვიქროლე ტრასებზე. ასეც ხდება. ბევრჯერ მომსვლია ეს აზრად. ეს ნორმალურია, მაგრამ მაინც მომავლისკენ იყურები და აგრძელებ. ძალიან ძნელია ვიწინასწარმეტყველო, რას გავაკეთებ წასვლის შემდეგ. რა თქმა უნდა, ფორმულაში ყოფნა დიდ სტიმულს მაძლევს. არაფერი შეედრება იმ გრძნობას, როდესაც იმარჯვებ მას შემდეგ, რაც მთელი არსებით ჩანთქმული იყავი სისწრაფესთან ჭიდილში. ამიტომ, როდესაც წავალ, სამუშაოს მოძებნა ძალიან გამიჭირდება. არაფერია რბოლაზე უკეთესი.“

მიდი და გაიგე, რა უნდა ამ კაცს, რომელიც მომავლისკენაც იყურება და თან წასვლასა და სხვა სამსახურზეც ალაპარაკდა. ერთი სიტყვით, აგერ მიკა და ბოლიდი. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.



გრანტ ჰეკეტი, იან ტორპი, მაიკლ კლიმი და უილიამ კირბი ისევ უძლიერესნი არიან

# ავსტრალიაში რეკორდების ჰეკეტ-რეკეტია

**ავსტრალიის** „პატარა წყლის" ჩემპიონატი ფუკუოკას საწყლოსნო სახეობათა მე-9 მსოფლიოს ჩემპიონატზე არანაკლებ სანახაობრივი გამოდგა. თუმცა ამასაც თავისი ახსნა მოეძებნება. მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები ხომ ერთ-ერთი უძლიერესნი არიან „ცისფერი ბილიკების" სამყაროში. ასე რომ არ იყოს, ამა თუ იმ სარბიელზე მოხვეჭილი მედლების ლამის მესამედის მფლობელები არ იქნებოდნენ. ამიტომაც არაა გასაკვირი, როდესაც მწვანე კონტინენტიდან ახალ-ახალი მსოფლიოს რეკორდებით გვახსენებენ თავს, მით უმეტეს, რომ თავგამოდებისთვის საკმაო მიზეზიც აქვთ. „პატარა წყლის" ავსტრალიის ჩემპიონატი მომავალი წლის მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ასპარეზობაცაა. პირველი, ვინც პერტის „ჩელენჯ სტეიდიუმიდან" თავისი შედეგით გაგვაოცა, გრანტ ჰეკეტია, 800 მეტრზე თავისუფალ სტილში საოცარი მსოფლიოს რეკორდის ავტორი. ამჯერად მან 1500 მეტრზე მიღწეულითაც გაგვაოგნა: თუ მაშინ 800 მეტრზე კირენ პერკინსის ძველი მიღწევა (7.34,90) თითქმის ათი წამით (9,62) გააუმჯობესა, ამჯერად თავის საფირმო დისციპლინაში (1500) ფინალური ასპარეზობისას 1998 წლის თანამეგობრობის თამაშებზე დამყარებულ მისსავე მსოფლიოს რეკორდს (14.19,55) 9,45 წამი ჩამოაჭრა — 14.10,10.

21 წლის ჰეკეტისთვის ამ ათი დღის განმავლობაში ეს უკვე მესამე ინდივიდუალური მსოფლიოს რეკორდია. მართალია, „პატარა წყალში", „დიდი წყლისგან" განსხვავებით, მოცურავეები გაცილებით სწრაფად დაცურავენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, მსოფლიოს რეკორდები პანტაპუნტით დაამხო, თანაც 10 წამითაც გააუმჯობესო.

აღსანიშნავია, რომ პერტის „ჩელენჯ სტეიდიუმმა" მეორედ იხილა ჰეკეტის უსწრაფესი გაცურვა. ახლა ხომ ავსტრალიელმა სწორედ იქ დამყარებული რეკორდი დაამხო. ისე, მაყურებლები ერთი საინტერესო სცენის მოწმენი გახდნენ. როცა ჰეკეტი 1500 მეტრის ნიშნულთან მიიჭრა, ნაცვლად იმისა, ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა და ელექტროტაბლოზე თავისი შედეგისთვის შეეხედა, კიდევ ერთი ბრუნი გააკეთა და ასპარეზობა განაგრძო. 15 მეტრის შემდეგ კი შეყოვნდა და აუზიდან ამოიხედა, მაგრამ დაბნეულმა ისევ გააგრძელა ცურვა და 1550 მეტრზე, როგორც იქნა, გაჩერდა.

სხვათა შორის, დიდ მანძილებზე მოცურავეებს ხშირად ებნევათ თავგზა. ასეთი რამ ჰეკეტის თანამემამულე სტივ ჰოლანდსაც დაემართა 1973 წლის ბელგრადის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მსოფლიოს რეკორდის დამყარების შემდეგ იგი კიდევ კარგა ხანს მიცურავდა.

ამის მიზეზი კი ისაა, რომ მოცურავეებს ხშირად სათვალავი ერევათ, რამდენჯერ გააკეთეს ბრუნი. მაგალითად, „დიდ წყალში", ანუ 50-მეტრიან აუზში 1500 მეტრის გასაცურად 30 ბრუნია საჭირო, ხოლო „პატარა წყალში" ორმაგად მეტი. ამიტომ რა გასაკვირია, შეგეშალოს.

მით უმეტეს, თუ სათვალეც წყლითაა სავსე.

„ზარის ხმა ვერ გავიგე. სათვალეებში კი წყალი შემივიდა. ამიტომაც ჩავთვალე, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ცურვას გავაგრძელებდი, რადგან ამით თავსაც დავიზღვევდი. იმის გაცნობიერება რომ შემძლებოდა, რომ 1450 მეტრის ნიშნულთან ვიყავი და არა 1400-ის, უფრო სწრაფად გავცურავდი" — განაცხადა ჰეკეტმა.

აი, ესტაფეტაში კი ჰეკეტს აღარაფერი შეშლია. 1500 მეტრის სარეკორდო სიხარული ჯერ კიდევ არ განელებოდა, რომ თანაგუნდელებმა — უილიამ კირბიმ, იან ტორპმა და მაიკლ კლიმმა თავისთან იხმეს.

4X200 „თავისუფალ" ესტაფეტაში ავსტრალიელთა კვარტეტმა ამერიკელთა ოთხეულის — ჯოშ დევისის, ნეილ უოლკერის, სკოტ ტაკერისა და ჩედ კარვინის მიერ შარშან ათენის „პატარა წყლის" მსოფლიოს ჩემპიონატზე დამყარებული პლანეტის საუკეთესო შედეგი (7.01,33) დაამხო — 6.56,41. გარდა ამისა, ისინი შეიქნენ პირველებიც, რომლებმაც შვიდწუთიანი ზღვარი „დაამოკლეს".

ამრიგად, ჰეკეტი ავსტრალიის „პატარა წყლის" ჩემპიონატზე ორი ინდივიდუალური მსოფლიოს რეკორდისა და ერთის თანაზიარიც გახდა.

სხვათა შორის, ოზთა კვარტეტმა ამავე შემადგენლობით ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაამყარა მსოფლიოს რეკორდი, მანამდე კი ასეთი მიღწევით სიდნეის ოლიმპიადაზეც გამოიჩინა თავი. ასე რომ, დღესდღეობით მათი ოთხეული უძლიერესია მსოფლიოში.

ისე, ბოლოდროინდელი შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შევატყობთ, რომ მსოფლიოს რეკორდებს უფრო ვაჟი მოცურავეები ამხობენ. ამ რამდენიმე დღის წინ, უფრო სწორად, კვირას, როგორც იქნა, ამ მხრივ ქალებმაც იყოჩაღეს. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 19 წლის კლემენტინ სტოუნმა 8 წლის წინანდელი მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა. მან 1993 წელს ასეთი მიღწევით (2.06,09) თავგამოჩენილ ჩინელ სიხონგ ხეს ჩამოართვა მსოფლიოს რეკორდი — 2.05,83, თუმცა მისი ზეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სულ რაღაც საათნახევარში ავსტრალიაში სტუმრად მყოფმა დიდი ბრიტანეთის ნაკრების ერთ-ერთმა წევრმა სარა პრაისმა სტოუნის მსოფლიოს რეკორდი დაამხო — 2.04,44. 22 წლის მოცურავემ თავისი წარმატება იმით ახსნა, რომ ბოლო დროს ბრიტანეთის ნაკრებში დიდი გამოცოცხლება შეიმჩნევა, ეს კი ავსტრალიელთა ოლიმპიური ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის ბილი სვიტენჰემის დამსახურებაა, რომელიც შარშან ალბიონზე გადაბარგებულა.

**გიგა გურასაშვილი**



ხუთი რგოლის ჩრდილში

# ფულისმკეთებელს ვინ შეცვლის?!



დიკ პაუნდი

**ცხელ** გულზე მიღებულ გადაწყვეტილებას არავისთვის დაუყრია ხეირი. ყოველ შემთხვევაში, სოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში განცდილმა მარცხმა კანადელ იურისტ დიკ პაუნდზე იმდენად იმოქმედა, რომ მან ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯით ყველაფერი დათმო.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი მესაჭედ ბელგიელი ქირურგის ჟაკ როგის გამოცხადებამ პაუნდს ერთბაშად მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) და სოკ-ის სამარკეტინგო კომისიის ხელმძღვანელი თანამდებობები დაატოვებინა. მას შემდეგ როგი სულ იმას ცდილობს, რომ ყოფილ მეტოქეს აზრი შეაცვლევინოს და ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნოს. ახლახან ცნობილი გახდა, რომ როგის მცდელობამ ნაყოფი გამოიღო. ბელგიელმა პაუნდი დაიყოლია.

ამის შესახებ ედმონტონში, მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის სხდომაზე განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა. კანადელმა დაიტოვა ვადა-ს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნისთვის განკუთვნილი მანდატი, რომელსაც სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ გასდის ვადა.

იააფ-ის მდივანმა ჯორჯო რეინერამ კი განაცხადა, ედმონტონში არაფერი თქმულა იმაზე, დარჩება თუ არა პაუნდი სოკ-ის სამარკეტინგო კომისიის ხელმძღვანელად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ როგი ამ შემთხვევაშიც ყველანაირად შეეცდება, თანამდებობა მის ძველ პატრონს, პაუნდს დაუბრუნოს.

სოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხუან ანტონიო სამარანჩმა ბრძანა: „მაშინაც კი, თუ ოლიმპიურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგება ისეთი კაცი, რომელსაც ეკონომიკის არაფერი გაეგება, მას დიკ პაუნდის იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან მისმა უნარმა და გამჭრიახობამ სოკ-ს დიდი შესაძლებლობები მოუტანა". მაშინ ეს ერთგვარი მინიშნებაც იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ პაუნდს თავად სურდა სოკ-ის პრეზიდენტობა.

# აშშ უსავარძლოდ რჩება

**სოკ-ის** საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში დამარცხებული ანიტა დეფრანცი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელ საბჭოში დარჩენას 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადამდე ითხოვს.

აღმასრულებელ საბჭოში საქმიანობის გასაგრძელებლად სოკ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის ჟაკ როგის ნებართვაა საჭირო. თავად როგს დეფრანცის მოთხოვნისთვის კომენტარი არ გაუკეთებია. „არ დავლაპარაკებივარ ანიტას. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ, მას უნდა შევხვდე" — განაცხადა როგმა.

დეფრანცთან შეხვედრა კი როგმა აშშ-ს ეოკის შტაბ-ბინაში, კოლორადო სპრინგსში სტუმრობისთვის დაგეგმა.

აღსანიშნავია, რომ დეფრანცი აღმასრულებელ საბჭოში ხმის უფლებას კი არ ითხოვს, არამედ მხოლოდ ნებართვას, დაესწროს მის სხდომებს. არადა, დეფრანცს, რომელიც 15-კაციან საბჭოში ერთადერთი ამერიკელი გახლდათ, უფლება-მოვალეობის ვადა ერთი თვის წინ გაუვიდა. ახლა კი, თუ მას მანდატს არ გაუგრძელებენ, აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტი საშიშროების წინაშე დგება. მას, როგორც მსოფლიო სპორტის ყველაზე გავლენიან ეოკ-ს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღმა დარჩენა ემუქრება. ესეც რომ არა, საფრთხეშია ამერიკელთა მიერ სოკ-თან დადებული სატელევიზიო კონტრაქტებიც. მათ შორის ის ხელშეკრულებაც, რომლითაც NBC-ის სამაუწყებლო კომპანიამ 2002 წლის ოლიმპიადის ექსკლუზიური ტრანსლაციის უფლება მოიპოვა.

„ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ს ეოკ-ს წარმომადგენელი ჰყავდეს აღმასრულებელ საბჭოში.

მწამს, ძალიან ფრთხილად უნდა დავიცვათ ჩვენი ფინანსური ინტერესები და ახლა სწორედ ესაა ჩემი საზრუნავი" — განაცხადა აშშ-ს ეოკ-ის პრეზიდენტმა სენდი ბოლდუინმა. გარდა ამისა, თავად დეფრანცს მიაჩნია, რომ მაშინ, როდესაც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადამდე ზუსტად ექვსი თვეა დარჩენილი, გაუმართლებელი იქნება, თუ ამერიკის წარმომადგენელი აღმასრულებელ საბჭოში სავარძლის გარეშე დარჩება, რადგან ეს დიდ ზიანს მიაყენებს 2002 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორებს. მისი თქმით, ისინი საქმის კურსში უნდა იყვნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას.

**გიგა გურასაშვილი**



# კორჩნოიმ ახალგაზრდებს მასტერკლასი ჩაუტარა

**ბილის** ტურნირის ბოლო ტურში ცენტრალური დაფა ვიქტორ კორჩნოისა და პიოტრ სვიდლერს შორის გაიშალა. ესენი ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ. კორჩნოი სვიდლერს ერთ-ერთ ყველაზე სალად მოაზროვნე მოჭადრაკედ მიიჩნევს და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს, სვიდლერი კი, კორჩნოის ჭალარასა და განვლილ ცხოვრებას აფასებს, როგორც არაერთი სხვა.

ამის მიუხედავად, უშელავათო ბრძოლას ელოდნენ. სვიდლერი შავებით თუ გაიმარჯვებდა, ტურნირსაც იგებდა, ანდა კორჩნოი იყო პირველი. თუმცა ახალგაზრდას ბრძოლა თითქმის არ უცდია. ორიოდე გასროლის შემდეგ მე-16 სვლაზე ყაიმი დაფიქსირდა და მაესტრო ვიქტორმაც, 21-ე საუკუნისთვის გასაოცრად, 70 წლის ამ მე-17 კატეგორიის პრესტიჟული ტურნირი მოიგო. ცალკე აღსანიშნავია სტატისტიკური მონაცემიც: ნათამაშევი 10 პარტიიდან კორჩნოიმ მხოლოდ 4 დაასრულა ყაიმით, 4 მოიგო და 2 წააგო, ანუ მეტოქეებს პარტიათა 40 პროცენტში დაუზავდა. ეს იმ დროს, როცა ყაიმთა საერთო სატურნირო პროცენტი ბევრად მეტი, 63,3 გახლდათ. მართალია, თავიდან მოჭადრაკეები თავდადებით იბრძოდნენ, საწყისი 2 ტურის 6 პარტიიდან მხოლოდ ერთი დასრულდა ზავით, მაგრამ, როგორც საერთოდ ხდება, შემდეგ მოჭადრაკეებს დაღლა დაეტყოთ და თეორიული ყაიმებიც მომრავლდა. შედეგად კი 30 პარტია და 19 ყაიმი, რაც დაახლოებით დღევანდელი ტურნირების საშუალო სტატისტიკას უდრის. რეიტინგული ქულები მხოლოდ მასპინძლებს — კორჩნოის და იანიკ პელეტიეს შეემატათ. ეს უკანასკნელი (იგი შვეიცარიის ჩემპიონია და კორჩნოი ამეცადინებს) მეტს მიიღებდა, ბოლო ტურში ვნებათაღელვას რომ არ აჰყოლოდა. თანაბარ პოზიციაში შავებით მოთამაშე ალექსანდრ გრიშჩუკმა პელეტიეს ყაიმი შესთავაზა და უარი მიიღო — შვეიცარიელს მოგების იმედი ჰქონდა. შემდეგ იგი შეცდა, ორ პაიკში ფიგურა დაკარგა და უიმედო ენდშპილში დანებდა. ამით მთელი ტურნირის მანძილზე კუდში მავალი გრიშჩუკი ბოლო ადგილზე მარტო აღარ დარჩა, იქ სამნი ერთად მოკალათდნენ.

**დავით გულუა**

**საბოლოო ვითარება**

**1. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) 6; 2. პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) 5,5; 3. ბორის გელფანდი (ისრაელი) 5; 4-6. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი), ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი), იანიკ პელეტიე (შვეიცარია) 4,5**



ვიქტორ კორჩნოი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ავსტრალიიდან

# იქ, სადღაც...

ამერიკელი მილიონერი სტივ ფოსეტი შეუპოვარი კაცია და ხელს არ იღებს თამამ აზრზე: ჰაერბურთით დედამიწას მარტომ შემოუფრინოს. ამ დღეებში ფოსეტი იძულებით დაეშვა ავსტრალიური პერტიდან 100 კილომეტრით მოშორებულ ნორტჰემში, მაგრამ, როგორც ხედავთ, ისევ აფრენილა. ფოსეტი ჯიუტია.

# გლოვის წუთები

„სენტ ლუის რემზის“ და „მინესოტა ვიკინგზის“ ამერიკულად მობურთალეები, ორლანდო პეისი (სახით ჩვენკენ) და კრის კარტერი წუხან, რომ გულის შეტევით უდროოდ გარდაიცვალა სენტლუისელთა გუნდის საჩინო წევრი კორი სტრინგერი, რომელსაც პეისი ახასიათებს როგორც უჯიგრეს თანაგუნდელს.



REUTERS ვასრენიდან





REUTERS ედმონტონიდან

# წყვილი

წელი, რომელზეც მავან აყვირებულ მულატს ხელი შემოურტყია, უბრალო კი არა, ჩემპიონისაა, რომელმაც ედმონტონში, მძლეოსანთა მსოფლიო პირველობაზე ქალთა 200 მეტრი მოიგო. ქალბატონი ბრაზილიელია, ადრია როსა სანტუში ჰქვია და მთავარი ახლა უნდა ვთქვათ: იგი მზის მეტს ვერაფერს ხედავს. ედმონტონში ინვალიდებიც პაექრობენ.

# ანტონიოს გულის მელანი



REUTERS მალიორკიდან

იახტა „ტაუ კერამიკაზე“ იმყოფებიან მსახიობი მელანი გრიფიტი, მისი ქმარი ანტონიო ბანდერასი, რომელიც ასევე მსახიობია და გაგანია ზაფხულში რატომღაც წვერი მოუშვია და ერთი მელოტი კაცი, ვისაც მელანის ნატიფი მკლავი ფარავს. სპორტი კი ყოველივე ამასთან იმ შუაშია, რომ მიმდინარეობს რეგატა „კოპა დელ რეი“ ესპანეთის სამეფო ოჯახისა და კიდევ ბევრი ცნობილი ოჯახის მონაწილეობით.





REUTERS მალიორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge